ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 2 ივნისი, 2021 | №97 (8626) | ფასი: 60 თეთრი



გვ.5

**მარიამ ბეგიაშვილი: „ტაქსისტმა მითხრა, რა მაგარი მოსატ..ი ხარო და მუხლზე ხელი ამისვა“**

**„დავით კოდუა საქართველოდან წასულია, თუმცა ჩამოსვლას აპირებს“**

ადვოკატი: „მის უდანაშაულობას დავამტკიცებთ“


გვ.5

# „გახარია „ოცნებას“ აშანტაჟებს“


გვ.2

გია ხუხაშვილი: „ოპოზიციის მხრიდან გახარიაზე შეტევა პოლიტიკური სიბრიყვეა, რადგან ის ოპოზიციის კონკურენტი არ არის“




გვ.3

## „სააკაშვილი თუ მოინდომებს ხელისუფლების დაბრუნებას, დაიბრუნებს კიდეც“

გედევან ფოფხაძე: „გახარია ვერ იტყვის, 20 ივნისი „შემტენესო“



## „შეზღუდვები უნდა მოიხსნას და დავიცვათ რეგულაციები“



გვ.3

ვატო სურგულაძე: „ზღაპრებს გვიყვებიან. გრამაფონშია ნათქვამი, რომ ვაქცინაზე მოლაპარაკება მიდის“


გვ.4

## „გახარია დაქოქილი თოჯინაა“

მამუკა გიორგაძე: „რუსეთის მიზანია საქართველოს ნგრევა, თანაც, დასავლეთის დროშის ქვეშ“

## „წულუკიანმა ნამახვანჰესის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის პასუხი უნდა აგოს“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მიხეილ სარჯველაძის მომზადებულ ნამახვანის პროექტის შეფასების დოკუმენტში 22 კრიტიკული შენიშვნაა“


გვ.2

## ეკატერინე ტიკარაძე კოვიდ 19-ით დაინფიცირდა

მარტის ბოლოს ის ასტრაზენეკას ვაქცინით აიცრა


გვ.3

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** საგარეჯოში ბიზნესმენი დავით აზარიაშვილი დაჭრეს

**6** ცნობილი რეჟისორი მშობლებმა მოკლეს, დაანაწევრეს და სანაგვეებში გადაყარეს

**5** შსს-მ ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დაიწყო

**6** გერმანიამ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების რისკის სტატუსი შეამცირა

# „გახარია „ოცნებას“ აშანტაჟებს“

## გია ხუხაშვილი: „ოპოზიციის მხრიდან გახარიაზე შეტევა პოლიტიკური სიბრიყვეა, რადგან ის ოპოზიციის კონკურენტი არ არის“

იაგო ნაცვლიშვილი

უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში ყოფილი პრემიერი გიორგი გახარია ფართო საზოგადოების წინაშე ორჯერ წარდგა, ჯერ საკუთარი პარტიის „საქართველოსთვის“ პრეზენტაციაზე, შემდეგ კი ტელეჟურნალისტებთან შეხვედრაზე, თუმცა, ჟურნალისტების დიდი მცდელობის მიუხედავად, მან ბევრი კითხვა უპასუხოდ დატოვა ან, უკეთეს შემთხვევაში, ზოგადი პასუხი გასცა. მხოლოდ ის გავიგეთ, რომ „ოცნებასთან“ კოალიციის შექმნას არ გამორიცხავს და ბიძინა ივანიშვილს არც აქებს და არც აძაგებს.

დაარწმუნა თუ არა გახარიამ საზოგადოება, რომ ბიძინას პროექტი არ არის? რამდენად გამართლებულია მისი სტრატეგია? ვისი კონკურენტია და როგორ უნდა იმოქმედოს ოპოზიციამ მასთან მიმართებით? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***– გახარიას პრესკონფერენციამ ერთი ნაბიჯით მაინც დაგარწმუნათ, რომ ის დამოუკიდებელი მოთამაშეა და არ არის ბიძინა ივანიშვილისა და „ოცნების“ პროექტი?***

– ამაში დარწმუნება არ მჭირდებოდა, ისედაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ის არ არის „ოცნების“ პროექტი, იმიტომ, რომ ამაში მაინცდამაინც ლოგიკას ვერ ვხედავ. ის ისტორია, რომელიც განვითარდა მის ირგვლივ, ვფიქრობ, ნატურალური იყო და თავისი შინაგანი ლოგიკა ჰქონდა.

***– მაშინ, რატომ არ აკრიტიკებს ბიძინა ივანიშვილს?***

– არ აკრიტიკებს იმიტომ, რომ მისი ტაქტიკა, დღეის მდგომარეობით, ასეთია – ის უპირისპირდება „ქართული ოცნების“ ელიტას, მაგრამ არ ჩატეხს ხიდს ბიძინა ივანიშვილთან, რადგან იმედი აქვს... ჩვენ მამებთან ხშირად ვჩხუბობთ ხოლმე.

***– მამად აღიქვამს ივანიშვილს?***

– კი ბატონო, პოლიტიკურ მამად. მე ვფიქრობ, რომ ასე აკეთებს. ჩვენ ხშირად ვჩხუბობთ მამებთან, მაგრამ ხომ არ ვკარგავთ მამებს?! ჩემი აზრით, მას ასეთი განცდა და განწყობა აქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს არის დაგეგმილი ჩხუბი.

***– ამ ეტაპზე ისიც კი არ თქვა, რომ არ შექმნის „ოცნებასთან“ კოალიციას.***

– ესეც ბუნებრივია. მოდით, ასე ვთქვათ, თუ შეიქმნა კონიუნქტურა და დადგება საკითხი, კოალიცია „ოცნებასთან“ ან ნაციონალურ მოძრაობასთან, ესეც ბუნებრივია, თუ უფრო „ოცნებასთან“ შექმნის, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობასთან. ასე რომ, ეს ყველაფერი ძალიან მარტივია და მაინცდამაინც შეთქმულების თეორიას ნუ ვეძებთ. ყველაფერი თავისთავად ხდება.

***– არა, შეთქმულების თეორიას კი არა, კითხვებზე პასუხებს ვეძებთ და უმჯობესია, თავადვე გასცეს ამ კითხვებზე პასუხები, რასაც ამ ეტაპზე გაურბის.***

– კი, მაგრამ გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას პრეტენზია არ აქვს ოპოზიციურ ამომრჩეველზე. მას პრეტენზია აქვს „ქართული ოცნების“ ე.წ. სამობილიზაციო ამომრჩეველზე, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი „ქართული ოცნებისადმი“, მაგრამ არჩევნებზე მაინც მიდის და მაინც მმართველ პარტიას აძლევს ხმას. არ მოსწონს ღარიბაშვილი და კობახიძე, მაგრამ, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილს პატივს სცემს. „ქართული ოცნების“ ეს სეგმენტი მაინცდამაინც ძალიან პატარა არ არის, პირიქით, საკმაოდ მნიშვნელოვანია. გახარიას რიტორიკა მათზეა გათვლილი. გახარიას მიზნობრივი ჯგუფი ეს ამომრჩეველია.






მას არ აქვს ილუზია, რომ 19-21 ივნისის მოვლენებზე ისეთ საოცარ პასუხებს მოიფიქრებს, ოპოზიციური ამომრჩეველი მიიზიდოს. ის მუშაობს გარკვეული ტიპის ამომრჩეველზე და ეს არის „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი. გახარია „ქართულ ოცნებასთან“ შეკრული კი არ არის, სინამდვილეში „ოცნების“ პრობლემაა, თანაც – საკმაოდ სერიოზული.

***– პროცესმა გამოაჩინა, რომ გახარია „ოცნების“ შიდადაპირისპირების პროდუქტია?***

– კი, ასეა, რა თქმა უნდა.

***– გვესმის „ქართული ოცნების“ საკმაოდ მწვავე რიტორიკა გახარიას მიმართ, უნდათ, რომ ნაციონალებს „ჩაუდონ“ გახარია. რამდენად გამოუვათ?***

– მე თავიდანვე ვთქვი, რომ გადაწყვეტილებას იღებენ, მიშა ჩაუდონ თუ პუტინი. მე ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში ორივეს ჩადებას შეეცდებიან, მარტო მიშას კი არა, პუტინისაც, შეეცდებიან, თან რუსულ პროექტად გაასაღონ და თან მიშასთან შეკრულადაც.

***– რუსულ პროექტად მისი წარსული ცხოვრებიდან გამომდინარე გაასაღებენ თუ სხვა რამეს მოიფიქრებენ?***

– არ ვიცი. რაც უნდათ, იმას იტყვიან, ენას ძვალი არ აქვს.

***– იმუშავებს?***

– მე ვფიქრობ, რომ სუსტი არგუმენტები იქნება. გარკვეულწილად, ყველაფერი მუშაობს საქართველოში, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ გახარია პრობლემაა მათთვის და არა ოპოზიციისთვის. გიორგი გახარია ოპოზიციის კონკურენტი არ არის. მეტსაც გეტყვით, დანარჩენი ოპოზიცია და გახარია ბუნებრივი მოკავშირეები არიან, იმიტომ, რომ ერთი ამოცანა აქვთ. ეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 43% ვერ აიღოს და დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები. შესაბამისად, ოპოზიციის მხრიდან გახარიაზე შეტევები პოლიტიკური სიბრიყვე იქნება და მეტი არაფერი.

***– ვხედავთ ამასაც და მაშინ რით აიხსნება ეს?***

– პოლიტიკური სიბრიყვითა და უმწიფრობით. ამით აიხსნება და მეტით არაფრით. სიბრიყვეა, კონკურენტად დაინახო ის, ვინც რეალურად შენი კონკურენტი არ არის, ამაზე დაიხარჯო და ამით ფაქტობრივად ხელისუფლების საქმე გააკეთო. უმწიფარი პოლიტიკური ელიტა გვყავს და რა გავაკეთო?!

***– როდესაც საუბარია ოპოზიციურ თანამშრომლობასა და კოორდინაციაზე, როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა და უნდა ჩართონ თუ არა გახარიაც?***

– არა, გახარია არ უნდა შევიდეს სივრცეში, იმიტომ რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის მუშაობს „ოცნების“ ამომრჩეველზე და, შესაბამისად, მან არ უნდა იფიქროს ოპოზიციასთან ალიანსებზე, რადგან ეს დააზიანებს მას. ის უნდა წავიდეს და არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, „ქართული ოცნების“ გარკვეული ამომრჩეველი უნდა წამოიყვანოს. რა ნაწილია და რა სეგმენტია, ეს უკვე მის მარიფათზეა დამოკიდებული, წინასწარ რა გითხრათ!

***– უნდა გადავიდეს „ოცნების“ მწვავე კრიტიკაზე და, როცა საუბრობს სისტემურ კორუფციაზე, არ უნდა დაასახელოს კონკრეტული მაგალითები?***

– არა. მე ვფიქრობ, როდესაც ამაზე საუბრობდა, ეს არ ყოფილა საზოგადოების მოსასმენად ნათქვამი. ეს იყო ნათქვამი „ქართული ოცნების“ მისამართით. ის ფაქტობრივად გზავნილს უშვებს სახელისუფლებო პარტიის მიმართ, რომ თუ არასწორი მეთოდებით დაუპირისპირდებიან, მაშინ მას აქვს რაღაცები სათქმელი. ის ცდილობს, რომ „ქართულ ოცნებასთან“ ურთიერთობაში რაღაც წითელი ხაზები მონიშნოს, ვინაიდან მას არ უნდა, მასირებული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს. შესაბამისად, ამბობს, თუ ძალიან დამეტაკებით, მეც იძულებული ვიქნები, რაღაც საკითხებში ფრჩხილები გავხსნაო.

***– პოლიტიკურად აშანტაჟებს „ოცნებას“?***

– პრინციპში, კი, შეიძლება, ასე დაერქვას.

# „წულუკიანმა ნამახვანჰესის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის პასუხი უნდა აგოს“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მიხეილ სარჯველაძის მომზადებულ ნამახვანის პროექტის შეფასების დოკუმენტში 22 კრიტიკული შენიშვნაა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.**



***– ბატონო დიმიტრი, ნამახვანჰესის პროექტთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 30 მარტის უარყოფითი დასკვნა გამოქვეყნდა. რაიმეს თუ შეცვლის აღნიშნული დასკვნა?***

– 2019 წლის 30 მარტის თარიღით შეფასების დოკუმენტში რაც წერია, ძირითადი საფუძველია იმ დასკვნისთვის, რომელსაც მთავრობის რეგლამენტის მესამე თავის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იუსტიციის მინისტრი ადგენს და წარუდგენს მთავრობის ადმინისტრაციას, პრემიერის მიერ მთავრობის განკარგულებაზე ხელის მოწერამდე გარკვეული დროით ადრე.

ამ რეგლამენტში პირდაპირ წერია: თუ მინიმუმ 8 სამინისტრო უწყების დასკვნა დადებითი არ არის იმ კონკრეტულ საკითხზე, რომელიც ეხება პრემიერის ხელმოწერას მთავრობის აქტზე, აქტი არ უნდა გამოიცეს. მათ შორის, სავალდებულოა (პირდაპირ ასე წერია), იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების დადებითი დასკვნები კონკრეტულად ხელმოსაწერ დოკუმენტთან დაკავშირებით.

***– საინტერესოა, როგორია ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების დასკვნები?***

– იუსტიციის სამინისტრომ და ქალბატონმა თეა წულუკიანმა ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი დასკვნა საფუძვლად უნდა დასდებოდა აპრილში – ბახტაძის, ხოლო ნოემბერში გახარიას ხელმოწერებს. ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს დასკვნა გაკეთდა მარტში. ერთ თვეში ბატონმა ბახტაძემ მთავრობის განკარგულებას ხელი მოაწერა, ანუ დასკვნაში დადებითი შეფასებები უნდა ყოფილიყო, რადგან მთავრობის რეგლამენტი სხვა შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. თუ დასკვნა დადებითი არ არის, პრემიერ– მინისტრი ასეთ დოკუმენტს ვერანაირად ხელს ვერ მოაწერს.

***– მაშინ ბახტაძემ ხელი რატომ მოაწერა?***

– საქმეც ეგაა. მთავარ საკითხამდე მივედით. ქალბატონმა თეა წულუკიანმა, როგორც მინისტრმა, რომელიც პოლიტიკურად და სამართლებრივად მთავარი პასუხისმგებელია ამ დასკვნასთან დაკავშირებით, აღნიშნული დაავალა მაშინ თავის მოადგილეს და დღეს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ მიხეილ სარჯველაძეს, რომელმაც შეფასების დოკუმენტი უმაღლესი სტანდარტის მიხედვით მოამზადა.

მიხეილ სარჯველაძის მომზადებულ ნამახვანის პროექტის შეფასების დოკუმენტში 22 კრიტიკული შენიშვნაა, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც, მაგალითად, გულისხმობს სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ჩანაწერს, რომ ინვესტორი ვალდებულია, აუნაზღაუროს სახელმწიფოს მიყენებული ზიანი, თუკი ასეთი ზიანი მიადგება ინვესტიციის განხორციელების პროცესში.

არადა, ხელშეკრულებაში დევს, რომ „ენკა“ ასეთი ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებულია. მეორე საკითხი ეხება სახელმწიფოს მხრიდან ლიცენზირების უფლებას. კომპანია „ენკას“ ახლა ხელშეკრულებაში უწერია, რომ შეუძლია კონკრეტულ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვება ლიცენზიის გარეშე, ანუ „ენკას“ აქვს წიაღისეულის სარგებლობის შესაძლებლობა ლიცენზიის გარეშე, რაც გამოთქმულ შენიშვნებში უკიდურესად უარყოფითადაა შეფასებული.

ასევე საუბარია იმ რისკებზე, რომლებიც ტარიფებთანაა დაკავშირებული. მიჩნეულია, რომ ტარიფები, რომლებიც წინასწარ ხელშეკრულებაში ეწერა, გაუმართლებელია. სერიოზულადაა გაკრიტიკებული ის ფაქტი, თუ რატომ აზღვევს სახელმწიფო ყველა რისკებს „ენკას“ სასარგებლოდ. ეს ყველაფერი დასკვნაში 22 პუნქტად წერია.

თუკი შიდამოკვლევის დონეზე გაკეთდა შეფასების დოკუმენტი მიხეილ სარჯველაძის მიერ, რომელიც უნდა წარდგენოდა მინისტრ წულუკიანს, ისმის კითხვა: შეიძლება, წულუკიანს მთავრობის ადმინისტრაციისთვის რადიკალურად განსხვავებული დასკვნა გადაეცა? რა თქმა უნდა, არა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ სარჯველაძის მიერ შეფასების დოკუმენტის გაკეთებიდან ზუსტად 1 თვეში პრემიერ-მინისტრმა ბახტაძემ ხელი მოაწერა ქონების განკარგვის განკარგულებას.

***– არსებული დასკვნის იგნორირება მოხდა თუ ხელმოწერისთვის ახალი დასკვნა დაიწერა?***

– ჩემი ვარაუდით, იუსტიციის სამინისტროს დასკვნის იგნორირება მოხდა, რაზეც მინისტრმა წულუკიანმა თვალი დახუჭა.

***– რა უნდა გაეკეთებინა?***

– კანონში პირდაპირ წერია, რომ იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ ნეგატიური დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მთავრობის განკარგულება ვერ გამოიცემა. ასეთი ნორმატიული აქტი რომ გამოეცა, ის რეგისტრაციაში ვერ უნდა გატარებულიყო, რადგან არ ახლდა იუსტიციის სამინისტროს დადებითი დასკვნა.

თუკი მიხეილ სარჯველაძემ 30 მარტს ნეგატიური დასკვნა გააკეთა, მაშინ ერთ თვეში როგორ შეცვლიდა თავისივე მოადგილის მიერ მომზადებულ დასკვნას ქალბატონი თეა წუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „შეზღუდვები უნდა მოიხსნას და დავიცვათ რეგულაციები“

## ვატო სურგულაძე: „ზღაპრებს გვიყვებიან. გრამაფონშია ნათქვამი, რომ ვაქცინაზე მოლაპარაკება მიდის“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ბატონო ვატო, როგორია დღეს ქვეყანაში ეპიდემიური ფონი? მას შემდეგ, რაც ვაქცინირებული ჯანდაცვის მინისტრი დაინფიცირდა, ისმის კითხვები, რამდენად სანდოა ჩინური ვაქცინა? საინტერესოა, აცრის შემდეგ რამდენი ადამიანი დაინფიცირდა, არსებობს ამის სტატისტიკა?***

– სტატისტიკა მოსთხოვეთ ჯანდაცვის მინისტრს. მე არავითარ სტატისტიკას არ ვიცნობ, სამწუხაროდ. ჯანდაცვის მინისტრი, რომელიც, წესითა და რიგით, დიდი ხნის აცრილი უნდა იყოს, ამბობს, რომ აცრილია და დღეს გახდა ავად. ეს ძალიან ცუდი მომენტია, იმიტომ რომ ხალხში ისედაც ანტივაქსერული განწყობები ძალიან ძლიერია და იტყვიან, მინისტრიც აიცრა, მაგრამ, ნახეთ, რა დაემართაო.

***– პირველი დოზით იყო მხოლოდ აცრილი?***

– ეს ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ ყველა წესითა და რიგით უნდა ყოფილიყო უკვე ორი დოზით აცრილი. ყველა მონაცემით ასე უნდა იყოს. თუ არ აიცრა, ეგ სხვა საქმეა. კიდევ ერთხელ ვამბობ, პირველ რიგში სწორედ ჯანდაცვის მინისტრი უნდა იყოს აცრილი. რატომ? იმიტომ, რომ მან უნდა იაროს ყველა საავადმყოფოში, პაციენტებთან უნდა ჰქონდეს ურთიერთობა, უნდა გადიოდეს უამრავ შეხვედრას და პირველ რიგში სწორედ ის უნდა ყოფილიყო დროულად აცრილი. თუ არ არის ორჯერადად აცრილი, ესეც სერიოზული პრობლემაა. ასევე საინტერესოა, რატომ ან სად დაინფიცირდა?! ეს ყველაფერი იწვევს შიშს საზოგადოებაში.

მაქსიმალურად ვმუშაობთ ჩვენც, სახელმწიფო სტრუქტურებიც, რომ ანტივაქსერული კამპანია ჩავახშოთ და ამ ფონზე ხდება ასეთი რაღაცა, რაც, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა. სასწრაფოდ განმარტება უნდა მიეცეს ამას ყველაფერს. ახლა ახალი პანიკა წამოვიდა, რომ, არიქა, აფრიკული შტამი შემოვიდა. რა მოხდა, რომ შემოვიდა?! ეს შტამი შემოვა კიდევ ძალიან ბევრი. ეს არ უნდა იყოს პრობლემა, მთავარია, მომზადებული და ვაქცინირებული დავხვდეთ ამ ყველაფერს.

***– რამდენად საშიშია აფრიკული შტამი?***

– ზუსტად ისევეა საშიში, როგორც ბრიტანული იყო. თუ გახსოვთ, ბრიტანულ შტამზე რა ამბავი იყო ატეხილი, არიქა, დავიღუპეთო. მკურნალობა, თავდაცვის წესები– ყველაფერი აბსოლუტურად იგივეა, გინდა აფრიკული შემოვიდეს, გინდა ვიეტნამური. ეს არაფერს ცვლის. ნებისმიერი შტამი, რაც არ უნდა გაჩნდეს, თუ წესებს დავიცავთ, თუ რეგულაციები იქნება დაცული და არა შეზღუდვები! ეს კარგად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან, ასევე, თუ კლინიკები იქნება კარგად მომზადებული. რამდენი ექიმი გვყავს გადამზადებული და ექთანი, ვინმემ იცის ეს?! პირველ რიგში ექიმები და ექთანები უნდა აგვეცრა, რომ მათი დაინფიცირების საშიშროება არ გვქონოდა. ამის სტატისტიკა არსებობს? არ არსებობს, სამწუხაროდ! იმავე ვაქცინისა არ იყოს, გამოდიან ჯანდაცვის მინისტრი და მინისტრის მოადგილე და მუდმივად ამბობენ, მიმდინარეობს მოლაპარაკებებიო. რით ვერ დამთავრდა ეს მოლაპარაკე-



ბები?! ასეთი რა მოლაპარაკებებია?!

***– ინდური შტამი ახსენეთ და ამბობენ, რომ ყველა ვაქცინა არ იცავს ამ შტამისგან. ამაზე რა ინფორმაცია გაქვთ, რის თქმა შეგიძლიათ?***

– შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფაიზერი და ასტრაზენეკა კარგად მუშაობს, მოწმდება ჩინურ ვაქცინაზეც და, რამდენადაც ვიცი, სინოფარმი საკმაოდ კარგად მუშაობს ამის საწინააღმდეგოდ. კვლევა კიდევ მიმდინარეობს, ამას სჭირდება თავისი სამუშაო პროცესი, განსაზღვრული დრო. შესაძლოა, ამ შტამზე ეფექტიანობა იყოს შედარებით დაბალი, ვიდრე სხვა შტამზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩინური ვაქცინები საერთოდ არ მუშაობს.

***– ბოლო პერიოდია, გარდაცვლილთა რიცხვი საკმაოდ მაღალია.***

– დიახ, მაღალია. ერთი მუჭა ერი ვართ და ჩვენთვის ძალიან მაღალია. შტამი არაფერ შუაშია, ძალიან ხშირად დაგვიანებული შემთხვევებია. ბევრი კოვიდკლინიკა, რომლებიც უნდა იღებდნენ პაციენტებს და რომლებიც ჩართული არიან ამ პროგრამაში, შაბათ-კვირას არ მუშაობს რატომღაც. ყოველდღე უნდა ხდებოდეს, სულ მცირე, 40 ათასი ტესტის აღება. სასურველია, რომ უმეტესი პისიარი იყოს.

***– დიახ, სწრაფ ტესტს ნაკლები სანდოობა აქვსო.***

– ასეა. თუ დადებითი გაჩვენა, ე.ი. ნამდვილად გაქვს, მაგრამ, თუ ტესტი უარყოფითია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არა გაქვს. ყოველდღე უნდა იმუშაონ, 24 საათი. აი, ეს არის სერიოზული პრობლემა, ორგანიზება და ლოჯისტიკა ვერ ხდება ქვეყანაში. ვაქცინის არ იყოს, შემოდის და ვერ შემოვიდა. თუ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, უნდა არსებობდეს უკვე ხელშეკრულება, რომ, დავუშვათ, ივლისის ამ რიცხვიდან აგვისტოს ამ რიცხვამდე, პერიოდულად მიიღებთ ამდენ ათას დოზა ფაიზერს. აი, ეს არის მოლაპარაკება და ეს არის ხელშეკრულება. ესენი კიდევ დგანან და ზღაპრებს გვიყვებიან. ხან ივლისის დასაწყისში შემოჰქონდათ და ახლა ზაფხულის ბოლოსო. სანამ კონტრაქტი არ დაიდება, მანამ ეს მოლაპარაკება არ შეიძლება იყოს წარმატებული. უბრალოდ, გრამაფონშია ნათქვამია ეს სიტყვები, რომ მოლაპარაკება მიდის.

***– როგორი ზაფხული გველოდება?***

– ძალიან მძიმე. შეზღუდვები უნდა მოიხსნას და დავიცვათ რეგულაციები. ერთი საათით რომ შეამცირეს კომენდანტი და 4 საათამდე გადმოსწიეს საკომენდანტო საათი, უბრალოდ, სასაცილოა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ოთხი იქნებოდა თუ ხუთი?! აბსოლუტურად არალოგიკური და არათანმიმდევრული ნაბიჯებია. არც იციან და არც ეშვებიან. დაანებონ თავი და ის ხალხი მიუშვან, ვინც ეს საქმე იცის.

### შალვა პაპუაშვილი: „კალაძის კანდიდატურას ყველაზე მაღალი მხარდაჭერა ექნება“



– კახა კალაძის კანდიდატურას ჩვენი მოქალაქეების მხრიდან ყველაზე მაღალი მხარდაჭერა ექნება.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა შალვა პაპუაშვილმა გუშინ, 1 ივნისს, უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, კახა კალაძე თბილისის საუკეთესო მერია.

– კანდიდატურებს რაც შეეხება, ყველაფერი მაშინ დასახელდება, როცა კამპანია იქნება. რაც შეეხება კახა კალაძეს, დღესაც იხილეთ თქვენ, მას პრეზენტაცია ჰქონდა და ანგარიშს აბარებდა სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ერთი რამე შეგვიძლია ჩვენ თამამად ვთქვათ და ვფიქრობ, რომ ამ ქალაქის ყველა მკვიდრი დაეთანხმება ამას, რომ კახა კალაძე არის ამ ქალაქის საუკეთესო მერი. რა თქმა უნდა, მის კანდიდატურას ექნება ყველაზე მაღალი მხარდაჭერა ჩვენი მოქალაქეების მხრიდან, – განაცხადა პაპუაშვილმა.

### ეკატერინე ტიკარაძე კოვიდ 19-ით დაინფიცირდა

#### მარტის ბოლოს ის ასტრაზენეკას ვაქცინით აიცრა

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა.

სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი თავს კარგად გრძნობს, თვითიზოლაციაში იმყოფება და მუშაობას დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს.

სამინისტროს სხვა თანამშრომლები, რომლებთანაც ინფიცირებულს კონტაქტი ჰქონდა, თვითიზოლაციაში არიან გადაყვანილნი.

ეკატერინე ტიკარაძე 23 მარტს ასტრაზენეკას ვაქცინით აიცრა. ამის მიუხედავად, ის კოვიდ 19-ით მაინც დაინფიცირდა.

მინისტრის პირველმა მოადგილე თამარ გაბუნიამ აღნიშნა, რომ მინისტრს ჯერჯერობით ვაქცინის მხოლოდ ერთი დოზა ჰქონდა გაკეთებული.

– ქალბატონ ეკატერინეს ჩატარებული აქვს ასტრაზენეკას ვაქცინით პირველი აცრა, მეორე აცრის თარიღი იყო განსაზღვრული 14 ივნისისთვის, რაც არის 12-კვირიანი ინტერვალით დადგენილი პერიოდი, თუმცა, ამ მდგომარეობის გამო, მისი მეორე ვაქცინაცია გადაიხედება, – განმარტა თამარ გაბუნიამ.

### ელისაშვილი: „გახარიას უნდა დაეზუსტებინა, საიდან მოდის კორუფცია“



– როცა რაღაცას იტყვი და მერე ამბობ, „ნიჩურტი“ მაქვსო, სწორი არ არის.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა გიორგი გახარიას 31 მაისის პრესკონფერენციის კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, უახლოესი მომავალი აჩვენებს, რამდენად მოახერხებს გიორგი გახარია ოპოზიციაში თავის დამკვიდრებას.

– ვისი პროექტია, რა პროექტია, ამას დრო და მისი ქმედებები გვაჩვენებს. გიორგი გახარია იყო პრემიერი, ბიზნესომბუდსმენი, შს მინისტრი, თქვა, რომ ქვეყნის უმთავრესი პრობლემა კორუფცია და ნეპოტიზმია. გუშინ, როცა დააზუსტებინეს, კონკრეტულ რამეს ვერ ვამბობ, ზოგადად სისტემაზე ვსაუბრობო. ვფიქრობ, ამ პასუხით კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. ვინაიდან ეს თქვა, უნდა დაეზუსტებინა, საიდან მოდის ნეპოტიზმი, კორუფცია და ვინ არის ამაში ჩართული, – განაცხადა ელისაშვილმა.

# „სააკაშვილი თუ მოინდომებს ხელისუფლების დაბრუნებას, დაიბრუნებს კიდეც“

## გედევან ფოფხაძე: „გახარია ვერ იტყვის, 20 ივნისი „შემტენესო“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, რამდენად გაამართლა თქვენი მოლოდინები გიორგი გახარიამ?***

– გახარია სკანდალური რომ არ უნდა ყოფილიყო, ეს იმთავითვე ცნობილი იყო. მას უნდა, დაანახოს საზოგადოებას, რომ ის არის კონსტრუქციული ძალა და შეუძლია ქართულ პოლიტიკაში სიახლის შემოტანა. ჩემთვის ამაში სიახლე არაფერია, მეტიც, რაღაც მომენტში, როდესაც ვუყურებდი მის გამოსვლას, ტელევიზორი გამოვრთე კიდეც.

***– 20 ივნისთან დაკავშირებით მიიღეთ პასუხები?***

– რაც სათქმელი ჰქონდა, მან უკვე თქვა, როდესაც 20 ივნისის შემდეგ ჟურნალისტებს შეხვდა. მეტს მე არ ველოდი. 20 ივნისი „შემტენესო“, რომ თქვას, ძალიან ცუდი პოლიტიკოსი გამოვა. ვერაფერს ახალს ვერ იტყვის. ერთადერთი, ვთვლი, რომ გახარიას აქვს პოლიტიკური აქტიურობის უფლება. ამის უფლება აქვს სააკაშვილსაც, ვასაძესაც და ყველას, მით უფრო, როდესაც ქართული პოლიტიკური სპექტრი არ არის განებივრებული ილია ჭავჭავაძეებითა და დიმიტრი ყიფიანებით. ამიტომ არ ველოდი, რომ გიორგი გახარია მზად იყო, ყველა კითხვაზე გაეცა პასუხი.

***– თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რა იყო?***

– როდესაც, როგორც ყოფილმა პრემიერმა, თქვა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუ-



ტები ატროფირებულია, კორუფციაა. როდესაც მე პარლამენტში გახარიას, როგორც პრემიერს, ვეუბნებოდი, რას დაემსგავსა შენი მთავრობა-მეთქი, ის მაშინ ამას არ ადასტურებდა. ამიტომ გიორგი გახარია, როგორც ბრალდების მოწმე, ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისთვის.

***– თქვენც თვლით, რომ ის გარემოების მსხვერპლია? თქვენ კარგად იცნობთ საპარლამენტო უმრავლესობას, თქვა, კედელთან მიმაყენესო.***

– ამაში ვერ დავეთანხმები. არავინ არ ვართ გარემოების მსხვერპლი პოლიტიკაში. ყველაზე ცუდი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა, ეს ნაციონალური მოძრაობის ოფისში შეჭრა იყო? სულ მაქვს ეს კითხვა. მანამდე არაფერი ისეთი არ მომხდარა ქვეყანაში, რომ წამოსვლის მიზეზი ყოფილიყო?! ეს კითხვაც მაქვს. ამიტომ ბოლო წვეთის თეორია არ მომწონს.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისი მორალური პოზიცია ია კერძაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ის იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, იყო სამეგრელოში და კურირებდა საარჩევნო კამპანიას. ბაჩანა შენგელია დამიკავშირდა და მითხრა დედამისზე, როგორ ჰქონდა ზეწოლის ფაქტს ადგილი, მაგრამ მე, „ქართული ოცნების“ დეპუტატს, არ შემეძლო შინაგან საქმეთა მინისტრ გახარიასთან დაკავშირება. მაშინ ჩვენ, ოთხი დეპუტატი, ირინა ფრუიძე, გიორგი მოსიძე და ლევან კობერიძე ვითხოვდით ია კერძაიას სახელზე საკანონმდებლო ცვლილებას, რომ წინასაარჩევნოდ ყოველგვარი ინსპექტირება არ მომხდარიყო, მაგრამ მაშინ გახარიამ ჩვენი კი არა, ტერორისტების მხარე დაიკავა. ახლა წუწუნებს, ხალხს გვიტერორებენ რეგიონებშიო. მიუხედავად ამისა, ის, როგორც ბრალდების მოწმე, პოლიტიკაში მნიშვნელოვანია. სად ჩემი, როგორც რიგითი დეპუტატის ნათქვამი და სად ყოფილი პრემიერის ნათქვამი.

***– „ქართულ ოცნებას“ საფრთხეს შეუქმნის 43%-ის მოგროვებაში?***

– რა თქმა უნდა!

***– ვინაიდან ადგილობრივ არჩევნებზე, შესაძლოა, ხელისუფლების ბედი გადაწყდეს, სააკაშვილი შეიძლება დაბრუნდეს?***

– და მერე რა?! თუ სააკაშვილი დაბრუნდება, მას ვერავინ დააკავებს. მე სააკაშვილის ადგილზე ჩამოვიდოდი და ხალხს პირდაპირ ვეტყოდი: ესენი არაფრის მაქნისები არიან, მხოლოდ საკუთარი ვილების ასაშენებლად არიან და ხელისუფლება მე დამიბრუნეთ! თუ სააკაშვილი გამოიჩენს მიზანსწრაფულობას, რომ ხელისუფლება დაიბრუნოს, დაიბრუნებს კიდეც. ამას ვამბობ გულწრფელად, მიუხედავად იმისა, რომ ცხრა წელი ვებრძოდი სააკაშვილს. კრიმინალურ-კორუმპირებულ კლანებს ბევრი ციხეში არ გაუშვებს, მოურიგდებიან ერთმანეთს. ერთადერთი, ის ბოლმა ჩამოვა და ამათ გაუშვებს ციხეში.

***– რეალურია რიგგარეშე არჩევნები თუ „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ დაუშვას?***

– სიმართლე გითხრათ, „ქართული ოცნების“ გარდა, დღეს რიგგარეშე არჩევნები პოლიტიკურ სპექტრში ბევრს აღარ უნდა. მხოლოდ ალეკო ელისაშვილს არ ვგულისხმობ. ვისაც არ უნდა ვადამდელი არჩევნები, მათ უნდათ ეს კორუმპირებული ტიპები, რომლების ამოცანაც ქვეყნის ეკონომიკის გაზრდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი არ არის, არამედ ვილების აშენებაა ხალხის ხარჯზე, ისინიც უნდა წავიდნენ მათთან ერთად.

***– მეუფე იაკობის განცხადებაზე რას იტყვით, რომ ის მზად არის, თავად აიღონ ძალაუფლება?***

– ჩემთვის ეკლესია სულიერი ნავსაყუდელია. თუ იქაც პოლიტიკური ვნებები იქნება, ეს ჩემთვის სამყაროს ჰარმონიას დაარღვევს. ეკლესია ამ ვნებებზე მაღლა უნდა იყოს, რადგან მას განსაკუთრებული მისია აკისრია ადამიანის ცხოვრებაში.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „გახარია დაქოქილი თოჯინაა“

## მამუკა გიორგაძე: „რუსეთის მიზანია საქართველოს ნგრევა, თანაც, დასავლეთის დროშის ქვეშ“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს მამუკა გიორგაძეს.**



***– ყოფილმა პრემიერმა გიორგი გახარიამ გამართა პარტიის პრეზენტაცია და უპასუხა ტოკშოუების წამყვანების შეკითხვებს. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

– კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. გამიმყარდა პოზიცია, რომ გახარია დაქოქილი თოჯინაა. ასეთივე იყო ის მაშინ, როცა ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი და სხვა თანამდებობები. ჩემი გამოცდილების კაცს ბევრი მაქვს ნანახი. დემაგოგი ბევრი მინახავს. მათი უმრავლესობა გახარიაზე ნიჭიერი, კრეატიული და გონებაგახსნილი იყო. ამდენი ხანი ილაპარაკა ბევრ რამეზე და, ფაქტობრივად, არაფერი უთქვამს. ეს არ მახარებს. სინანულით ვლაპარაკობ.

***– რატომ სინანულით?***

– ის, რაც საქართველოში ხდება და რაშიც ჩაება გახარია, არ არის პოლიტიკა. ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკის გამრუდება მაწუხებს. პოლიტიკას უწოდებენ იმას, რაც ახლოსაც არ არის პოლიტიკასთან. გახარიამ სამი საათი ისაუბრა და გაკვრითაც არ შეხებია ტერიტორიულ პრობლემებს, აფხაზეთს, ცხინვალს, მსოფლიო გამოწვევებსა და სხვას. ჩვენში პოლიტიკად ითვლება პარტიებსა და პიროვნებებს შორის დაპირისპირება და ამის განხილვა. გახარიას პიროვნულად არ ვეხები. საშინელებაა, როცა წლებია, ვერ ვისმენთ მსჯელობას სერიოზულ პრობლემებზე და პოლიტიკოსების ხედვებს მემარჯვენეობა-მემარცხენეობაზე, იდეოლოგიაზე, აფხაზეთზე, თვითმმართველობაზე და სხვა. ამ ყველაფერს, ისევე, როგორც გახარიას პარტიის პრეზენტაციასა და მის პასუხებს შეკითხვებზე, საბჭოური ჟღერადობა და ელფერი დაჰკრავდა. ასეთი იყო მოქალაქეთა კავშირი, ასეთივეა „ქართული ოცნება“. ნაცმოძრაობის მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ ვიტყვი, რომ ნაცმოძრაობას ჰქონდა იდეოლოგიის რაღაც ელემენტები.

***– „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი დაცემულია. თქვენივე შეფასებით, გახარიამ ეფექტი ვერ მოახდინა. ამით ხომ გზა ეხსნებათ სხვა ძალებს, მათ შორის, რუსეთისგან დამოუკიდებელ ჯანსაღ დასავლურ ორგანიზაციებს?***

– გადარჩენის გზა და შანსი ყოველთვის არსებობს. ხელისუფლებაში ღირსეულები უნდა იყვნენ. ასეთები ქვეყანაში არიან. რომ არ იყვნენ, პოლიტიკურ კლასს ამდენი პოლიტიკური სპექტაკლის გათამაშება არ დასჭირდებოდა. ამ ხალხმა იცის, რომ ნამდვილი მეტოქეები ჰყავს და თავს არ ზოგავს, რომ ყოველთვის თვითონ იყოს წინა პლანზე, ღირსეულები კი გააუფერულოს. კომუნისტებშიც იყვნენ პატიოსანი და პატრიოტი პიროვნებები. მათ გაორების პრობლემა ჰქონდათ, ეგონათ, რომ ვერაფერს მიაღწევდნენ და არ აქტიურობდნენ. დღესაც იგივე ხდება.

***– დღეს ტექნოლოგიები განვითარდა, თანაც, ერთპარტიულობა აღარ არის. მართალია, ბევრ პარტიას უჭირს სათქმელის საზოგადოებამდე მიტანა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.***

– რა თქმა უნდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ ინდივიდუალურ შეჯიბრებას ჩვენ, სახალხო პარტია, გარკვეული დროის წინ სხვებს ვუგებდით. მდგომარეობა დამძიმდა იმის გამო, რომ სხვები უზარმაზარ ფინანსებს ხარჯავენ. სოციალურ ქსელებში მოდის ცილისწამების, ბოტებისა და ტროლების ნიაღვარი.

***– თქვენც გამხდარხართ ტროლების სამიზნე?***

– ყოველთვის ვაწყდებით ბოტებისა და ტროლების თავდასხმებს, როცა ვაქტიურდებით. როცა აქტიურები ვართ გარეთ და სოციალურ ქსელშიც ვდებთ მასალებს, კომენტარებსა და სხვა, იერიშის ობიექტი ვხდებით. ხშირად გვისვამენ კითხვას – სად იყავით აქამდე? ამას ისე ამბობენ, თითქოს აქამდე არ ვარსებობდით, ახლა დავიბადეთ და ენა ამოვიდგით. პოლიტიკა გადაქცეულია კინკლაობის არენად არაარსებით საკითხებზე, მაგალითად, უნდა შევიდეს თუ არა ნიკა მელია პარლამენტში, ვინ მონაწილეობს თბილისის მერიის კორუფციულ სქემებში.

***– კორუფციაზე საუბარი, ალბათ, საჭიროა.***

– როგორ არა, მაგრამ ჯერ სასიცოცხლოზე, გლობალურზე ილაპარაკე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, ხალხის ფიზიკურად გადარჩენაზე, სასამართლოს რეფორმაზე იფიქრე. საქართველოში ჩამოასვენეს და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე. საუცხოო ფაქტია, მაგრამ როგორ აღნიშნეს ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა?! ხელისუფლებამ ეს აღნიშნა მარტომ, ხალხის გარეშე.

***– პანდემია მოიმიზეზეს?***

– ამას ვერ მოიმიზეზებენ. პანდემია მარტო ხალხისთვისაა და ხელისუფლებას არ ეხება?! ვიზუალურად კარგი ღონისძიება იყო, მაგრამ – საზოგადოების გარეშე. ის დაემსგავსა საბჭოთა სანახაობას. თუ საბჭოურ სტილში ატარებ რამეს, რა მნიშვნელობა აქვს, ლენინის 70-ე წლისთავს აღნიშნავ თუ სახელოვანი გიორგი კვინიტაძის 100 წლისთავს. რიტორიკა შეიცვალა, ფორმა კი იგივე დარჩა. საქართველოში პოლიტიკური ელიტა ხალხისგან ძალიან არის დაშორებული. ამ ელიტას ჰგონია, რომ ხალხი მისი ბედნიერებისათვის არის გაჩენილი. ამ ზედაფენისთვის ადამიანები საარჩევნო ბიულეტენია და მეტი არაფერი.

***– რამდენიმე თვეში ადგილობრივი არჩევნებია. რა მოლოდინი გაქვთ?***

– სამწუხაროდ, მოველი ძველის გამეორებას. როგორც წესი, არჩევნების წინ, ასე, ორი-სამი თვით ადრე, მწვავდება ბრძოლა ერთ ან ორ საარჩევნო საკითხზე. ეს მთავარი მოთამაშეებისთვის აუცილებელია. აბა, იდეოლოგია მაგათ არა აქვთ, ტერიტორიული მთლიანობა არ აინტერესებთ და რამეზე ხომ უნდა იდავონ! ჩაივლის არჩევნები და ნაწილი იტყვის, რომ არჩევნები გაყალბდა.

***– მოელით, რომ წინა არჩევნების შემდგომი ამბები კიდევ იქნება?***

– იმიტომ მოველი, რომ ვიღაც-ვიღაცების მიზანია, საქართველოში იყოს მუდმივი ქაოსი. 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რაშია ჩაფლული ქვეყანა? მერვე თვეა არჩევნებიდან გასული და აქამდე, ფაქტობრივად, პარალიზებული იყო პარლამენტის მუშაობა. ქაოსი საქართველოში სჭირდება რუსეთს. ხომ უთხრეს პირდაპირ ევროპარლამენტარებმა ნაციონალურ მოძრაობას, რუსულ თამაშს თამაშობო. ახლა „ოცნება“ იტყვის, რომ ნაციონალები არ აძლევენ მუშაობის უფლებას, ნაცები კი „ოცნებას“ დააბრალებენ, რომ კარგი საქმის კეთების საშუალებას არ აძლევს.

***– თუ ისევ ორპარტიული კინკლაობა იქნება, რა ფუნქცია უნდა შეასრულოს გახარიამ?***

– განსაკუთრებული არაფერი. პოლიტიკაში წვრილფეხობაც საჭიროა.

***– რუსეთი ახსენეთ. ქართველი ექსპერტების ნაწილი რატომღაც კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ რუსეთი ერევა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში და პოლიტიკოსების ნაწილი ფარულად ატარებს რუსეთის ინტერესებს. არადა, დადგენილია რუსეთის ჩარევა აშშ-ის არჩევნებშიც კი.***

– ვინც ამას ამბობს, დაინტერესებული მხარეა. ე.წ. ექსპერტები, რომლებიც შეთქმულების თეორიად სახავენ რუსეთის ჩარევას ქართულ პოლიტიკაში, სინამდვილეში ცდილობენ რუსეთის კვალის წაშლას. საბჭოთა დროს საქართველოში კგბ-ს უამრავი აგენტი იყო. აგენტები მუშაობდნენ მძღოლებად, მუშებად, წარმოადგენდნენ ე.წ. ინტელიგენციის ელიტას. ეს ხალხი არსად გამქრალა. ისინი გავლენას ახდენდნენ და ახდენენ პოლიტიკაზე. ეს პირები პარტიებშიც არიან გადანაწილებული. თუნდაც ერთი მათგანი მაინც გინახავთ მხილებული? რომელიმეს მაინც თუ მოუნანიებია? არა. ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვითხოვთ, რომ თანამდებობები გვინდა. „პერესტროიკამდელ“ დისიდენტებს ასეთი პრეტენზია არ გვაქვს.

***– ლუსტრაციის კანონი არ არსებობს და ვინ ამხელდა ამ ხალხს?***

– საქმეც ეგაა. პრაქტიკულად, საქართველოში არ არსებობს შეზღუდვა ოკუპანტთან სათანამშრომლოდ. რუსეთის მიზანია საქართველოს ნგრევა, თანაც, დასავლეთის დროშის ქვეშ. ამას ემსახურებიან ვითომ პროდასავლური პარტიები. ცრუდასავლური პარტიები ეხმარებიან რუსეთს იმაში, რომ საქართველოში არ აშენდეს ნამდვილი სახელმწიფო და იყოს პერმანენტული ქაოსი. ამასვე ემსახურებიან ვითომ პროდასავლელი ე.წ. ექსპერტები, რომლებზეც მკითხეთ. ისინი რუსეთის კვალსაც შლიან. რუსეთს არაფრით არ უნდა ჩვენი ერთიანობა. მუდმივად უნდა, ვიყოთ დაქსაქსულები, ერთმანეთს გადამტერებულები და ვიძახოთ, რომ ცუდები ვართ, ერთობა არ შეგვიძლია. არადა, შეგვიძლია. ამის დასტურია 1988 წლის მოვლენები, 1989 წლის 9 აპრილი. რუსეთს უნდა ქაოსი და, საუბედუროდ, ამ მიზანს საქართველოში აღწევს. აბა, მთელი საქართველოს ოკუპაცია და თბილისის აღება თანამედროვე პირობებში არ გამოუვა. რუსეთს ჰიბრიდული ომი ურჩევნია და ამ ომში გვამყოფებს. ამაში მას ეხმარებიან ცრუ პროდასავლელი პოლიტიკოსები და ექსპერტები. 30 წელიწადია, ვერც ერთი დემოკრატიული დასავლური რეფორმა ვერ გავატარეთ ვერც სასამართლო სისტემაში, ვერც საარჩევნო სფეროში, ვერც თვითმმართველობა დავამყარეთ. ერთადერთი, რაშიც დავწინაურდით, ლგბტ საკითხებია. ფარისეველი პროდასავლელები აქ ახერხებენ შედეგის დადებას. ამასთან დაკავშირებული ერთი ინციდენტი გამახსენდა – ადრე ბოკერიამ თავი გაალახვინა ბასილ მკალავიშვილის მომხრეებს. სხვა თემებზე ცრუდასავლელები ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით შემოიფარგლებიან და ხალხს ანტიდასავლურ გრძნობებს უღვივებენ.

# „წულუკიანმა ნამახვანჰესის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის პასუხი უნდა აგოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლუკიანი? გამორიცხულია, უარყოფითი დასკვნა დადებითით შეცვლილიყო. უარყოფითი დასკვნა ერთ თვეში ვერანაირად ვერ გამოსწორდებოდა.

უკვე ცხადზე ცხადია, რომ წულუკიანმა თავის მოადგილეს პროექტის შეფასების დოკუმენტის მომზადება დაავალა. მოადგილემ შეფასების დოკუმენტი მოამზადა. დოკუმენტი იყო ძალიან კრიტიკული და ძალიან მწვავე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინისტრ წულუკიანის მხრიდან ისეთი შეფასება მიეცა, რამაც მთავრობის ადმინისტრაციას შესაძლებლობა მისცა, მიუხედავად უარყოფითი დასკვნისა, განკარგულების დოკუმენტი პრემიერთან ხელმოსაწერად შეეტანათ.

ე.ი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სახეზეა ისეთი ტიპის პოლიტიკური და ელიტური კორუფცია, რომელიც კანონის მოთხოვნებს პირდაპირ არღვევს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის ყველა სამართლებრივი შესაძლებლობა არსებობს.

***– როდესაც კორუფციაზე საუბრობთ, კონკრეტულად ფინანსურ კორუფციას გულისხმობთ?***

– კორუფცია სხვადასხვა ტიპის შეიძლება იყოს.

***– პრემიერი იყო გარეული ამ კორუფციაში, თეა წულუკიანი თუ ვინ?***

– ამაზე კომპეტენტურმა ორგანომ დასკვნა უნდა დადოს, რაც გენერალური პროკურატურის საძიებო საქმეა. ეს საკითხი ძალიან მარტივი შეფასების კატეგორიიდან გამომდინარეობს.

მთავრობის რეგლამენტით, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების დადებითი დასკვნის გარეშე სამთავრობო აქტი ვერ გამოიცემა. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტროს შიდამოკვლევის შეფასების დოკუმენტი მკვეთრად ნეგატიური იყო, მთავრობის განკარგულება მაინც გამოიცა, ერთ შემთხვევაში პრემიერ ბახტაძის მიერ აპრილში, ხოლო 21 ნოემბერს – უკვე პრემიერ გახარიას მიერ, რაც კონსოლიდირებული ელიტური კორუფციის მანიშნებელია.

***– გახარიას როლზე უნდა მეკითხა, ანუ გახარიამ ხელმეორედ გამოსცა აქტი? კონკრეტულად რა მონაწილეობა მიიღო ამ საკითხში?***

– ერთ შემთხვევაში, აპრილში მიღებულ იქნა ზოგადი გადაწყვეტილება ქონების გადაცემის შესახებ, ხოლო გახარიას შემთხვევაში უკვე დაკონკრეტდა კონკრეტული ფართობები კონკრეტული პირობებით. სულ 576 ჰექტარი მიწის ფართობი სამ მუნიციპალურ ერთეულშია გაცემული. 32-კილომეტრიანი სიგრძის მონაკვეთიდან 576 ჰექტარის ნახევარი საკუთრების უფლებით გადაეცა, ხოლო ნახევარი – აღნაგობის უფლებით ერთი საუკუნით, ანუ 99 წლით, როგორც ხელშეკრულებაშია, ანუ გახარიამ დააკონკრეტა, კონკრეტული ფართების გეოგრაფიული კოორდინატები მოუნიშნა კომპანია „ენკას“.

***– სოციალურ ქსელებში აპელირებდნენ იმაზე, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე გახარიას ხელი არ აქვს მოწერილი და ბახტაძის ხელმოწერილ დოკუმენტს აქვეყნებდნენ. გახარია პოლიტიკაში დაბრუნდა. რით შეუძლია გაიმართლოს თავი ამ საკითხთან დაკავშირებით?***

– ძალიან ლოგიკური შეკითხვაა. ამ საკითხზე პასუხს მთელი საქართველო ელის. მოლოდინი იყო, რომ მისი პარტიის დაფუძნების შემდეგ ჟურნალისტები ამ კითხვას დაუსვამდნენ, მაგრამ ეს შეკითხვა არ მომისმენია და არც ყოფილ პრემიერს გამოუხატავს ნამახვანის მოვლენებზე საუბრის ინიციატივა.

არადა, უდიდესი ვნებათაღელვა მოჰყვა სწორედ იმ ფაქტს, რომ გახარია დაკავებული თანამდებობიდან ისე წავიდა, მისი ღელვის საგანი ნიკა მელიას პატიმრობის გარემოებები იყო. საერთოდ, არანაირი მინიშნებაც კი არ გაუკეთებია იმ აღმაშფოთებელ ფაქტზე, რომელიც მისი გადადგომიდან რამდენიმე თვეში გახდა ცნობილი, კერძოდ, რიონის ხეობის ტერიტორიების ინვესტორისთვის გადაცემა, რაც დამოკლეს მახვილივით კიდია მის პოლიტიკურ პასუხისმგებლობად. ეს არის თემა, რომელსაც ის გვერდს ვერ აუვლის. აუცილებლად იქნება ძალიან სერიოზული საზოგადოებრივი წნეხი.

***– კერძოდ?***

– ძალიან კარგად ვხედავთ, რომ პროტესტმა სერიოზული რეზონანსი გამოიწვია და ყველა დიდი ქალაქი მოიცვა. დღესაც პერმანენტული აქციები მიმდინარეობს იმ ბარიკადების ფონზე, რომლებსაც პერიოდულად აღმართავს ხოლმე საქართველოს პოლიცია. არ ვიცი, ასეთი სისტემური პოლიციური დაპირისპირებით ხელისუფლება თავის დაცვას როდემდე აპირებს.

სანამ წასული პრემიერი გახარია პასუხს აგებს, მანამდე საჭიროა, ქალბატონმა წულუკიანმა პასუხი გაგვცეს: მიხეილ სარჯველაძის მიერ მოკვლეული შიდაშეფასების დოკუმენტი გამოიყენა თუ არა საბოლოო დასკვნის წარსადგენად და ის დასკვნა გაგვისაჯაროონ, რაც წარადგინა მთავრობაში. მიხეილ სარჯველაძის დოკუმენტი უკვე ვნახეთ. ახლა თეა წულუკიანის, ნათია თურნავასა და ვანო მაჭავარიანის დოკუმენტი გვინდა ვნახოთ. ვანო მაჭავარიანი სამთავრობო აქტის გამოცემის წინ მინისტრობიდან გაიძურწა.

***– თქვენ ერთხელ მითხარით, ჰესის მშენებლობა იმდენად არ არის პრობლემა, რამდენადაც მიწების გასხვისებაო, მაგრამ საინტერესოა, რა სიძლიერის ჰესების აშენებაა დაგეგმილი. ეს ხომ დიდი ჰესებია.***

– ქვედა ნამახვანის ჰესი უნდა იყოს 400 მგვტ, ზედა ნამახვანის ჰესი კი 30 მგვტ სიმძლავრის. ეს არის გრავიტაციული კაშხალი, რომელიც ჰესის წყალშემკრები ნაგებობაა. თავისი მოცულობით, 430 მგვტ დადგმული სიმძლავრისაა და ძლიერია. ნამახვანჰესის რენტაბელურობა ქვეყნის ენერგომომარაგების გაჯანსაღების, ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად იმ პირობებით, რა პირობებითაც ხელშეკრულებაშია წარმოდგენილი, ქვეყნის ინტერესებს სრულიად აცდენილია.

ახლა ცდილობენ მიხეილ სარჯველაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის დამალვას. ცდილობენ, თავი აარიდონ, რადგან ამ დოკუმენტში პირდაპირ წერია, რომ მათთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს ისეთი ტარიფები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება დღეს მოქმედ ტარიფებს.

***– დოკუმენტში „ენკას“ სასარგებლოდ სახელმწიფოს მხრიდან მაღალი რისკის შემცველ ფინანსურ ვალდებულებებზეა საუბარი.***

– ეს არის კაბალური ხელშეკრულება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისთვის საზიანოა, ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს და მიმართულია ინვესტორისთვის უპირატესობის მისანიჭებლად, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

***– თუ მთავრობა და რიონის ხეობის მცველები შეთანხმდებიან, ამ ხელშეკრულების პირობების გადახედვა თუ არის შესაძლებელი? არ ვიცი, ხელშეკრულების მთლიანად გაუქმება რამდენად იქნება შესაძლებელი. ხელშეკრულების გადახედვას შეიძლება დაეთანხმონ.***

– შეუძლებელი არაფერია, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც სასწორზე დგას ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და რეალური ენერგოდამოუკიდებლობის საკითხი, როდესაც პირდაპირ ვხედავთ, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ქვეყნის ინტერესებს მთლიანად ეწინააღმდეგება. ამიტომ სავალდებულოა მთელი ხელშეკრულების ანალიზი. ელიტური კორუფციის შესაძლო გამოვლინება აუცილებელ შესწავლას უნდა დაექვემდებაროს.

# „დავით კოდუა საქართველოდან წასულია, თუმცა ჩამოსვლას აპირებს“

## ადვოკატი: „მის უდანაშაულობას დავამტკიცებთ“

გუშინ, 1 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ბიზნესმენ დავით კოდუას სასამართლო პროცესი გაიმართა. აღნიშნულ პროცესს ბრალდებული დავით კოდუა დისტანციურად ესწრებოდა.

პროცესზე სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარსადგენი მტკიცებულებების დაშვებაზე იმსჯელეს.

დავით კოდუას უფლებადამცველის, მუხრან ღურწკაიას განცხადებით, ბრალდების მხარე ვერც ერთ ბრალდების ნაწილში ვერ დაადასტურებს მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობის საკითხს, ვინაიდან საქმეში არ არსებობს ამის არც ერთი პირდაპირი ან ირიბი მტკიცებულება.

– გირაოსთან დაკავშირებით განმარტება გავაკეთეთ, რომ საფუძველი იყო დავით კოდუას ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომ საზღვარგარეთ უნდა ჩასტარებოდა ოპერაცია და შესაბამისი მკურნალობა. ჩვენ მიერ გირაო უზრუნველყოფილი იქნა უძრავი ქონებით. რაც შეეხება საქმის არსებით განხილვას, გვაქვს მოლოდინი იმის, რომ ბრალდების მხარე ვერცერთ ბრალდების ნაწილში ვერ დაადასტურებს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობის საკითხს, ვინაიდან საქმეში არ არსებობს არცერთი პირდაპირი ან ირიბი მტკიცებულება იმისა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა რაიმე სახის დანაშაული.

დაცვის მხარე მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობას არსებითი განხილვის დროს დაადასტურებს აუცილებლად.

ბრალდების მხარის მტკიცებულებები დაუშვებლად იქნა ცნობილი სასამართლოს მიერ, ვინაიდან მოპოვების დროს კანონიერება იყო დარღვეული. მიუხედავად ამისა, საქმეში მართლაც არ არსებობს მტკიცებულება და დაუშვებლად ცნობა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, რომ დავით კოდუას უდანაშაულოდ იყოს ცნობილი. ის საქართველოდან წასულია, რომ ჩაიტაროს შესაბამისი მკურნალობა, თუმცა აპირებს ჩამოსვლას, ვინაიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან და პროცესებში აქტიური მონაწილეობის მიღებასაც აპირებს. ჩვენ გვახსოვს დაზარალებულების ინტერვიუები და პოზიციები, რომ არანაირ ძალადობას ადგილი არ ჰქონია, იყო გარკვეული სიტყვიერი შეკამათება და სულ ეს იყო ეს ინციდენტი. როდესაც საქმის განხილვა იქნება დაზარალებულის პოზიციასაც მოვისმენთ და შესაბამის განმარტებას გააკეთებს ამასთან დაკავშირებით, – აღნიშნა მუხრან ღურწკაიამ.

შეგახსენებთ, ცოლისა და შვილის მიმართ ძალადობის ფაქტზე დაკავებული ბიზნესმენი დავით კოდუა 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

კოდუას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოს სანაცვლოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ 6 მაისს შეუცვალა. როგორც კოდუას ადვოკატი განმარტავს, აღკვეთის შეცვლის საფუძველი კოდუას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა გახდა.

დავით კოდუას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 14 აპრილს შეუფარდა.

საქართველოს პროკურატურამ ბიზნესმენ




დავით კოდუას მეუღლის და შვილის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ბრალი წარუდგინა. კოდუას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ) განესაზღვრა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# საგარეჯოში ბიზნესმენი დავით აზარიაშვილი დაჭრეს

31 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს. საუბარია „თევზების ტბების“ ერთ-ერთ მეწილეზე, რომელსაც დაზიანებები მისმა ნაცნობმა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დავით აზარიაშვილი სხეულის სხვადასხვა არეში მიყენებული ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დანაშაულის კონკრეტული მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

სავარაუდო ბრალდებულის სახლი პოლიციამ უკვე გაჩხრიკა, საიდანაც ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები და მჭიდები ამოიღო.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# მარიამ ბეგიაშვილი: „ტაქსისტმა მითხრა, რა მაგარი მოსატ..ი ხარო და მუხლზე ხელი ამისვა“




თბილისში ტაქსის მძღოლმა 18 წლის გოგონა სექსუალურად შეავიწროვა.

18 წლის მარიამ ბეგიაშვილი „ინფო რუსთავთან“ ყვება, რომ მამაკაცი სექსუალური ხასიათის ფრაზებს იყენებდა, მას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდა და ამ დროის განმავლობაში ფიზიკურადაც შეეხო.

– პასუხს არ ვცემდი, ის კი მთელი გზის განმავლობაში მისვამდა შეკითხვებს, ნუ აი არაფერზე არ ვპასუხობდი საერთოდ. მერე უკვე ძალიან დეტალებში შევიდა, ძალიან მაგარი მო ვი გოგო ხარო, ეს მითხრა პირდაპირ.

მოკლე შორტი მეცვა, სადღაც ერთი 10 წუთია, რაც ვმგზავრობთ და გამოიხედა, ხელი გადმოყო, მუხლზე ამისვა და მითხრა, რომ ძალიან მინდა, უფრო უკეთესად აგათვალიერ-ჩაგათვალიერო და გვერდით გადმოჯექიო. მანდ ისე შემეშინდა, რომ გავშეშდი საერთოდ, ვერც პასუხი ვერ გავეცი, ვერც ეს ხელი ვერ მოვაშორე ჩემს მუხლს და მერე თვითონ აიღო ხელი. აკანკალებული ხმით ვუთხარი, არ მინდა-თქო და ისევ მთელი გზის განმავლობაში გააგრძელა საუბარი ჩემს ორგანოებზე.

მოთხოვნა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ გადავმჯდარიყავი მის გვერდით და უფრო უკეთესად ვეყურებინე, მიმეცა ჩემი ინსტაგრამისა და ფეისბუქის მისამართები, იმიტომ, რომ შენ მანდ უეჭველი შიშველ ფოტოებს დადებ სთორებშიო და მე ვუთხარი მეთქი არ მაქვს-თქო. ეს იყო სექსუალურ შევიწროებაზე მეტი, – აცხადებს „ინფო რუსთავთან“ მარიამ ბეგიაშვილი.

გოგონამ უკვე მიმართა საგამოძიებო ორგანოს, მამაკაცმა კი სამსახური უკვე დატოვა.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 410 ფაქტი გამოავლინა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 410 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 65 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 23 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 254 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 91 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

# მარშალის კუნძულების დროშის ქვეშ მცურავი გემი 65 ათასი ლარით დაჯარიმდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, მარშალის კუნძულების დროშის ქვეშ მცურავი გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, მარშალის კუნძულების დროშის ქვეშ მცურავმა გემმა ზღვა სამეურნეო წყლებით დააბინძურა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, სამართალდამრღვევის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი 58-ე მე-2 პრიმა მუხლის მე-7 ნაწილით ერთობლივად შეადგინეს.

ფოთის საქალაქო სასამართლომ კანონდამრღვევს 65 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმისა დააკისრა.




გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება დაკისრებული საჯარიმო სანქციისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ მიეცემა.

# შსს-მ ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია, სახელწოდებით „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დაიწყო, რომელიც ტარდება გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისთან პარტნიორობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისთვის“ – ფარგლებში, რომელიც შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

კამპანიის მიზანია ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ასევე, აღნიშნული დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინება.

კამპანიის გახსნით ღონისძიებაზე, მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ, საქართველოში შვედეთის ელჩის მოადგილემ ერიკ ილესმა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლელა ბაქრაძემ.

ღონისძიებას სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველის აპარატისა და აღნიშნულ საკითხზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა წარმოადგინა პრეზენტაცია, რომლის მეშვეობითაც სტუმრებმა ინფორმაცია მიიღეს ბავშვობის ასაკში ქორწინების სტატისტიკური მონაცემებისა და კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

გარდა ამისა, ბავშვობის ასაკში ქორწინების თემაზე მომზადდა ვიდეო, რომელშიც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები საუბრობენ ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკაზე, პრობლემის აღმოფხვრის მიზნით მულტისექტორული მიდგომის განხორციელების საჭიროებაზე და საზოგადოებას მოუწოდებენ, თავისი წვლილი შეიტანოს ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საინფორმაციო კამპანია ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება. მის ფარგლებში დაგეგმილია არაერთი ღონისძიება, მათ შორის, შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან. აღნიშნულ შეხვედრებს გამართავენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, პარტნიორი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. ასევე, მომზადდა ბავშვობის ასაკში ქორწინების თემაზე სოციალური რეკლამა, რომელიც



მასმედიის საშუალებით გავრცელდება. ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები და პოსტერები, რომლებიც კამპანიის მიმდინარეობისას მიეწოდებათ სკოლის ადმინისტრაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. კამპანიის ფარგლებში აგრეთვე გაიმართება ფოტოკონკურსი.

მთელი ქვეყნის მასშტაბით მწვავე პრობლემად რჩება ბავშვობის ასაკში ქორწინება, რომელიც განსაკუთრებულად მავნე ზეგავლენას გოგონებსა და ქალებზე ახდენს. შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულების დროული გამოვლენა და ეფექტიანი გამოძიება. სწორედ ამ მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი მთელი ქვეყნის მასშტაბით სწავლობს სისხლის სამართლის იმ საქმეებს, რომელთა შესაძლო ჩადენის მოტივიც ბავშვთან ქორწინებაა.

მოსახლეობაში სამართლებრივი ცნობიერების ნაკლებობა და აღნიშნული დანაშაულების შესახებ ინფორმაციის სიმწირე კვლავ რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, რაც ართულებს, ერთი მხრივ, დანაშაულის დროულ გამოვლენას და, მეორე მხრივ, ეფექტიან რეაგირებასა და საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას.

კამპანიის მხარდამჭერები ასევე არიან საერთაშორისო ორგანიზაცია „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი“ და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელები.

2021, 2 ივნისი, №97

# ცნობილი რეჟისორი მშობლებმა მოკლეს, დაანაწევრეს და სანაგვეებში გადაყარეს



ირანელმა წყვილმა აღიარა, რომ შვილი მოკლეს, დაანაწევრეს და ტომრით ქალაქის სხვადასხვა უბანში, სანაგვეებში გადაყარეს – შემთხვევა, რომელმაც საზოგადოება გააოგნა, თეირანში მოხდა.

მოკლული 47 წლის ცნობილი ირანელი რეჟისორი, ბაბაკ ხორამდინია. მკვლელობის ბრალდებით მისი 81 წლის მამა აკბარ ხორამდინი და დედა დააკავეს.

ხორამდინის მკვლელობა მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისმა მეზობელმა სანაგვეში გვამის ნაწილი შენიშნა და პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცველებმა მოკლულის ვინაობა დაადგინეს.

გამოძიების მიმდინარეობისას პოლიციამ მისი მშობლები – 74 წლის ირან ხორამდინი და 81 წლის აკბარ ხორამდინი დააკავა, რომლებმაც აღიარეს, რომ საძილე აბებით დააძინეს შვილი, შემდეგ კი გაგუდეს. სიკვდილში რომ დარწმუნებულიყვნენ, მას რამდენიმეჯერ დანაც ჩაარტყეს, დაანაწევრეს და სანაგვეებში გადააგდეს.

– პარასკევს საღამოს დედამისმა მოამზადა ქათამი და წამალი გაურია, რომ ბაბაკს გონება დაეკარგა, თუმცა კერძი არ შეჭამა და დაიძინა. ქათამი მაცივარში შევინახეთ და მეორე დღეს მიირთვა, – განაცხადა მამამ სასამართლოში.

წყვილი მოთმინებით ელოდა, როდის დაკარგავდა შვილი გონებას, დაახლოებით 5 საათისთვის კი ის მოკლეს.

ასაკოვანმა წყვილმა აღიარა რამდენიმე წლის წინ შვილისა და სიძის მკვლელობა იმავე მეთოდებით. მათი მტკიცებით, ქალიშვილი იმიტომ მოკლეს, რომ ის ნარკოტიკულ საშუალებებზე იყო დამოკიდებული, სიძე კი მოძალადე იყო.

რაც შეეხება რეჟისორის მკვლელობას, მათ შვილი იმიტომ მოკლეს, რომ სტუდენტებთან ჰქონდა რომანტიკული ურთიერთობა და, მიუხედავად იმისა, რომ ბაბაკს არ ჰყავდა ცოლი, მშობლებისთვის ეს „მიულებელი აღმოჩნდა“.

– არ ვნანობ, რაც ცოლთან ერთად ჩავიდინე. ისინი გარყვნილები იყვნენ და მადლობას ვუხდი ღმერთს, – განაცხადა ხორამდინის მამამ.

# გერმანიამ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების რისკის სტატუსი შეამცირა



რობერტ კოხის ინსტიტუტმა გერმანიის კორონავირუსის რისკი „ძალიან მაღლიდან“ „მაღლამდე“ შეამცირა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყანაში ინფიცირების შემთხვევების კლების გამო მიიღეს. კერძოდ, ინფიცირების 7-დღიანი მაჩვენებელი 100.000 ადამიანზე 35-ს შეადგენს.

– ვითარება უკეთესობისკენ მიდის, ჩვენთან საგრძნობლად უკეთესობაა, – განაცხადა გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა იენს შპანმა, თუმცა დასძინა, რომ, შემთხვევების შემცირების მიუხედავად, ქვეყანა ჯერ კიდევ პანდემიის შუა პერიოდშია.

ამასთან, რობერტ კოხის ინსტიტუტის დირექტორმა ლოთარ ვილერმა მოსახლეობას ვაქცინაციისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ამ დროისთვის სრულად ვაქცინირებული მოსახლეობის 18%-ია.

იმისთვის, რომ შეზღუდვების უმეტესობა მოიხსნას, საჭიროა, ეს მაჩვენებელი 80%-მდე გაიზარდოს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საზოგადოება

# სენაკის „არტ ფესტივალი“ დაიხურა




პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის ინიციატივით დაარსებული სენაკის „არტ ფესტივალი“ დაიხურა.

ინფორმაცია პიანისტმა **სანდრო გეგეჭკორმა** გაავრცელა:

– ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც გავიგე! სამწუხაროდ, დაიხურა ის ფესტივალი, რომელსაც მუსიკალური სიხარულის ოდა მოჰქონდა მთელი დასავლეთ საქართველოსთვის – სენაკის „არტ ფესტივალი“, სადაც ბოლო გამოშვებებზე 3000 ბავშვამდე იღებდა მონაწილეობას! დიახ, არ გეჩვენებათ ციფრი. ეს იყო დღესასწაული, სადაც ყველა, მთელი დასავლეთ საქართველოს მუსიკალური საზოგადოება იყო ჩართული ვალერიან შიუკაშვილის დამსახურებით.

მე მახსოვს ისიც, როცა დაფუძნდა და ის კონცერტები, სადაც მონაწილეობდნენ ყველა ის ქართველი კორიფე მუსიკოსები, რომლებიც გსმენიათ – ნანი ბრეგვაძიდან სახელმწიფო კვარტეტამდე.

მე, უბრალოდ, მინდა, მადლობა გადავუხადო მის მთელ შემოქმედებით ჯგუფსა და ვალერიან შიუკაშვილს იმ სიხარულისთვის, რაც საქართველოსთვის მოჰქონდათ ამ ფესტივალით.

ყველაფერი არ სრულდება. დასასრული ყოველთვის დასაწყისია! წარმატებები!

# ქართულ გალობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

**დასაწყისი მე-8 გვერდზე**

რებული ტრადიციაა, ხოლო მეორე მხრივ მასში განსაკუთრებით ჩანს ქართული კულტურის ერთიანობა ევროპულ ქრისტიანულ სამყაროსთან. მეცნიერთა ვარაუდით, საეკლესიო მუსიკაში მრავალხმიანობა ყველაზე ადრე საქართველოში ჩამოყალიბდა, X-XI საუკუნეებში განვითარების კლასიკურ ეტაპს მიაღწია, ხოლო XII-XIII საუკუნეებში, მთლიან ქართულ კულტურასთან ერთად, რენესანსული მსოფლმხედველობით განიმსჭვალა. შესაბამისად, ქართული საგალობელი არა მხოლოდ ეროვნული, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროს კულტურული საგანძურია.

ქართული ტრადიციული საეკლესიო მუსიკისათვის/ქართული გალობისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება ხელს შეუწყობს ქართულ გალობასთან დაკავშირებული კულტურული ფენომენისა და ღირებულებების შენარჩუნებას, ქართული გალობის სწავლა-გადაცემის ხელშეწყობას, ცოცხალ პროცესში შესრულების აუცილებლობის პოზიციონირებას, ამ უნიკალური პოლიფონიური ხელოვნების ახალგაზრდებში პოპულარიზებას, საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების მეტად დაინტერესებას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ცნობადობის ამაღლებას.

# ანსამბლი „მართვე“ იუბილარია

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“ იუბილარია. მას დაარსებიდან 43 წელი შეუსრულდა.

საქართველოში იშვიათია „მართვეზე“ უფრო პოპულარული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი. ამ ბიჭუნებმა ქართულ ხალხურ სიმღერას ძველებური დიდება დაუბრუნეს და ფსევდოფასეულობებზე გადაგებული ქართველობა ქართული სიმღერისაკენ გამოახედეს.

ამ დიდებული საქმის სათავეებთან ანზორ ერქომაიშვილი იდგა. არტოს ბაღში ქართული ხალხური სიმღერის პრობლემებზე ნათელა ჯიღაურთან საუბრისას, 1976 წლის შემოდგომაზე, გაჩნდა ბიჭუნათა ანსამბლის ჩამოყალიბების იდეა. მალე სიტყვა საქმედ იქცა, რომლის შესახებაც საინტერესოდ, მომხიბვლელად, შთამაგონებლად ყვება ანზორ ერქომაიშვილი წიგნში „მართვე“ ოცი წლისაა“. ესაა ქართული სიმღერის გადარჩენის, თავგამოდებული ბრძოლისა და შრომის სიბრძნით გაჯერებული ისტორია: „თუ გინდა, ხალხური სიმღერა შეინახო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო. თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, მერე იგი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება. ამით ძველი ტრადიციაც გადარჩება“ – და გადარჩა კიდეც...

დღეს ლამის ნახევარსაუკუნოვანი ანსამბლი იუბილარია. სამწუხაროდ, „მართვე“ იუბილეს პირველად თავისი დამაარსებლის ანზორ ერქომაიშვილის გარეშე აღნიშნავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# უინსტონ ჩერჩილის ბოლომდე მოუწეველი სიგარა აუქციონზე გაიყიდა




დიდ ბრიტანეთში გამართულ აუქციონზე ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის სიგარის ნამწვი გაიყიდა.

ბოლომდე მოუწეველი სიგარა აიღო და შეინახა სკოტლენდ-იარდის თანამშრომელმა არტურ ჩერჩმა, რომელიც ჩერჩილის თანმხლები პირი იყო. საბუთის თანახმად, რომელი ლოტს ჰქონდა თანდართული, ეს 1940-იან წლებში მოხდა.

ვარაუდობდნენ, რომ სიგარის ნამწვი აუქციონზე სულ რაღაც 800 ფუნტ სტერლინგად გაიყიდებოდა, თუმცა სრულიად მოულოდნელად ლოტმა მყიდველთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. ვაჭრობის მიმდინარეობისას მისი ფასი 3,5 ათას ფუნტ სტერლინგამდე გაიზარდა. სხვადასხვა ხარჯების გათვალისწინებით კი, მის მყიდველს საბოლოოდ 4,27 ათასი ფუნტის გადახდა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ უინსტონ ჩერჩილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობას მეორე მსოფლიო ომის, ასევე 1951-დან 1955 წლის ჩათვლით იკავებდა, ხოლო სიგარა მის განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენდა.

# კეიტ მიდლტონი კორონავირუსზე აიცრა



დიდი ბრიტანეთის პრინც უილიამის მეუღლე კეიტ მიდლტონმა პირველი აცრა გაიკეთა კორონავირუსზე. მან ტვიტერში საკუთარ გვერდზე თავად დაწერა ამის თაობაზე.

კემბრიჯის ჰერცოგინიას წამლის პირველი დოზა ლონდონის მეცნიერებათა მუზეუმში გაუკეთეს.

– დიდი მადლობელი ვარ ყველასი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ვაქცინის დანერგვაში. მადლობა ყველას იმისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ, – დაწერა ჰერცოგინიამ საკუთარ გვერდზე. მასზე ასევე გამოქვეყნებულია ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია თუ როგორ უკეთებენ კეიტ მიდლტონს ნემსს. მას ამ დროს თეთრი ტოპი და ცისფერი ჯინსები აცვია.

# ქალმა ვაქცინირებულებისთვის განკუთვნილ ლატარიაში მილიონი მოიგო

ამერიკის ოჰაიოს შტატში ვაქცინირებულებისთვის განკუთვნილი ლატარიის გათამაშების პირველი გამარჯვებულები გამოცხადდნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ სილვერტონის მკვიდრმა ებიგეი ბუტენსკემ ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო, ხოლო ქალაქ ენგლვუდის სკოლის მოსწავლემ ჯოზეფ კოსტელომ საკუთარი მომავალი სწავლის სრული დაფინანსება მიიღო.



აღსანიშნავია, რომ სტიპენდია დაფარავს სწავლის ხარჯებს შტატის ნებისმიერ კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში, ასევე ცხოვრებისა და კვების ხარჯებს ოთხი წლის მანძილზე. როგორც ოჰაიოს შტატის გუბერნატორმა მაიკ დევაინმა აღნიშნა, შესაძლოა ზოგიერთებმა ეს იდეა „სიგიჟედ“ და „ფულის ფუჭად ფლანგვად“ ჩათვალოს. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრაქტიკულად გამოცხადებისთანავე შტატში აცრის მსურველთა დიდი მატება აღინიშნა. ვაქცინაციის შტაბის მონაცემებით, აცრების რაოდენობა 28 პროცენტით გაიზარდა.

# ვეფხვებმა ზედამხედველი მოკლეს და ზოოპარკიდან გაიქცნენ



ჩინეთის ხენანის პროვინციის ქალაქ ნანიანის მახლობლად მდებარე ზოოპარკში ვეფხვებმა ზედამხედველი მოკლეს და გაიქცნეს.

ორი ვეფხვი, რომლებიც ადამიანს თავს დაესხნენ, ზოოპარკს ანახოის პროვინციის ქალაქ სუჩჟოუს ცირკმა გადასცა. მტაცებლების თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც მათ საკვებს აძლევდნენ. ვეფხვებმა გალიიდან თავის დაღწევა და გაქცევა მოახერხეს. ზედამხედველმა მათი თავდასხმის შედეგად სერიოზული დაზიანებები მიიღო და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ცხოველების გაქცევის შემდეგ ზოოპარკის თანამშრომლების და დამთვალიერებლების ევაკუაცია განხორციელდა. ვეფხვების მოსაძებნად ადგილზე პოლიცია, სახანძრო და სატყეო მეურნეების თანამშრომლები გამოიძახეს. მათ მტაცებლების ცოცხლად დაჭერა ვერ მოახერხეს და იძულებული გახდნენ ვეფხვები დაეხოცათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# წამალს, რომელიც ძველ ტრადიციებზეა დამზადებული, ქალბატონი ეთერი ამზადებს

ეთერის წამალი არის შესანიშნავი შედეგებით, რომელიც ითვლის ერთ საუკუნეს.

**ვანო კავსაძე:** მქონდა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული სისხლდენით. ქიმიურმა წამლებმა ვერ მომარჩინა. ეთერის უებარმა წამალმა კი განკურნა ორივე ერთად. მადლობა ქალბატონ ეთერს!

**შოთა კინკაური:** ძალიან მაწუხებდა პანკრეასი. ბოლოს მასწავლეს ეთერის წამალი. მივედი მასთან და მომცა წამალი, რომელმაც შესანიშნავი შედეგი მომცა. ახლა ვარ ძალიან კარგად. მადლობა ეთერს, რომლის წამალიც საქართველოშიც და საზღვარგარეთაც ბევრ მძიმე ავადმყოფს ეხმარება.

**თამარ ჭელიძე:** ძალიან მაწუხებდა ბუასილი, რომელიც მოძრაობაშიც ხელს მიშლიდა. ეთერის სასწაულმა მალამომ პირველივე გამოყენებისთანავე შედეგი მაჩვენა. მალამოს ასევე ძალიან კარგი შედეგი აქვს ნაწოლებზე, ძნელად შესახორცებელ ჭრილობებზე და განგრენიან ფეხზეც კი, რომელმაც ფეხი ამპუტაციას გადაარჩინა. მალამო მზადდება ძველი საგვარეულო, ტრადიციული რეცეპტით, რომელსაც არაჩვეულებრივი შედეგები აქვს.

ქალბატონი ეთერი ამზადებს ასევე ნატურალური შემადგენლობითა და ბუნებრივი კომპონენტებით – შავ ღვინოზე – წამალს, რომელიც ხელს უწყობს სისხლის გაწმენდას. ამ წამალს განსაკუთრებით კარგი შედეგები ონკოლოგიური დაავადებების მიმართ აქვს.

**ნონა შერმადინი – ექიმი:** მქონდა სიმსივნე ლიმფურ ჯირკვალზე (ლიმფომა). ეთერმა მომცა წამალი, რომელმაც გარკვეული დროის შემდეგ გასაოცარი შედეგი აჩვენა – სიმსივნე გამიქრა. ამისათვის ძალიან მადლიერი ვარ ქალბატონი ეთერის.

**მისი ტელეფონია: 599-96-44-63.**

**წამალი მზადდება წინასწარი შეკვეთით!**

# ბარსელონამ აგუერო დაიმატა და გარსია დაიბრუნა

ბარსელონა დიდი ხანი ეძებდა თავდამსხმელს და ცოტა ხნის წინ სერხიო აგუერო გადაიბირა. არგენტინელი შემტევი კატალონიურ გუნდში მომდევნო 2 სეზონის განმავლობაში ითამაშებს. 32 წლის თავდამსხმელის გამოსასყიდი თანხა 100 მილიონი ევრო იქნება.

აგუერო მანჩესტერ სიტიში გატარებული 10 წლის შემდეგ კატალონიელებს უფასოდ შეუერთდა.

**სერხიო აგუერო:**

– ბარსელონა მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. ვფიქრობ, აქ მოსვლით კარგი გადაწყვეტილება მივიღე. იმედი მაქვს, გუნდს დავეხმარები. რა თქმა უნდა, ეს ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯია. აქ ყოფნით ძალიან ბედნიერი ვარ. იმედია, გუნდს ტიტულების მოგებაში დავეხმარები. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ გუნდი წარმატებებს მიაღწევს. ყველა გულშემატკივარს ვეხვევი. შევეცდები, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო. იმედია, ფანები ჩემი თამაშით ისიამოვნებენ.

ინგლისში გატარებული 4 წლის შემდეგ ბარსას ერიკ გარსიაც უფასოდ დაუბრუნდა. ესპანელი „ლა მასიას“ აღზრდილია, სადაც 2008-17 წლებში ირიცხებოდა, რის შემდეგაც მანჩესტერ სიტიში გადაბარგდა.

ახლა 20 წლის ფეხბურთელი ბარსელონასთან 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, მისი გამოსასყიდი თანხა




კი 400 მილიონი ევრო იქნება.

**პირველი კომენტარი გააკეთა გარსიამაც:**

– აქ ყოფნით ძალიან ბედნიერი ვარ. ამ კლუბში თამაში ოცნების ახდენაა. იმედია, მომდევნო სეზონში წარმატებებს მივაღწევთ და ასე იქნება მომავალშიც. მანჩესტერ სიტიში ფანტასტიკური გამოცდილება მივიღე. მადლობა პეპ გვარდიოლასა და სამწვრთნელო შტაბის ყველა წევრს, რომლებიც მენდობოდნენ და თამაშის შესაძლებლობას მაძლევდნენ, რათა საბოლოოდ აქ დავბრუნებულიყავი. რა თქმა უნდა, შევეცდები, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო და ასევე მოვიგო რაც შეიძლება ბევრი ტიტული, რასაც ფანებთან ერთად აღვნიშნავთ.

# საქართველო აქამდე მოუგებელ რუმინეთს ხვდება

დღეს საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებები ერთმანეთს მერვედ შეხვდებიან. უნდა ითქვას, რომ რუმინეთის საფეხბურთო ნაკრები ჩვენთვის ერთობ უხერხული მეტოქეა და ის გუნდია, რომელსაც საქართველოს კარში ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი – 19.

აქამდე ეს გუნდები ერთმანეთს შვიდჯერ შეხვედრიან და 6 ვლახებმა მოიგეს, ხოლო ერთიც ფრედ დასრულდა.

ერთი ვთქვით და ძირითად დროში ფრედ (1:1) ორჯერ ვითამაშეთ: 2001 წელს რუმინეთში, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სტუმრად და მანამდე კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზეც გავაგორეთ ფრე, მაგრამ პენალტებით 2:4 წავაგეთ და ეს შედეგი სტატისტიკაში წაგების სახით არის შესული. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე თბილისში 0:2 წაგება მოვასწარით. სხვა ამხანაგური მატჩები კი 0:5, 1:5, 0:3, 1:2...

ამასობაში საქართველოს ნაკრებმა მატჩისწინა ვარჯიში გამართა. ვილი სანიოლი რუმინეთში 25 ფეხბურთელით ჩავიდა. მათგან ყველაზე გვიან გუნდს გურამ გიორბელიძე შეუერთდა და, სავარაუდოდ, დღევანდელ მატჩში მონაწილეობას არ მიიღებს. სხვა რომელ ფეხბურთელებს დაეყრდნობა სანიოლი, ამას მატჩის წინ შევიტყობთ.

**სანიოლის განკარგულებაში არიან:**

**მეკარეები**: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ), გიორგი მამარდაშვილი (ლოკომოტივი, საქართველო);

**მცველები**: გურამ კაშია (ლოკომოტივი, საქართველო), ოთარ კაკაბაძე (ტენერიფე, ესპანეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ გიორბელიძე (ვოლფსბერგერი, ავსტრია), სოლომონ კვერკველია (როტორი, რუსეთი), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე დინამო ბთ);

**ნახევარმცველები**: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), გიორგი აბურჯანია (კარტახენა, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი,



რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონია, თურქეთი);

**თავდამსხმელები**: თორნიკე ოქრიაშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), სერგო კუხიანიძე (სამგურალი) გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, უნგრეთი), გიორგი ბერიძე (უიპეშტი, უნგრეთი).

რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებთა მატჩი ქალაქ პლოესტში 2 ივნისს, თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება და მას ბერძენ მსაჯთა ბრიგადა განსჯის.

მატჩის მთავარი მსაჯი ფიფას არბიტრი, 41 წლის ანასტასიოს სიდიროპულოსი იქნება.

„ილიე იოანაზე“ გასამართ შეხვედრას გულშემატკივრები თითქმის 2-წლიანი პაუზის შემდეგ დაესწრებიან.

კოვიდრეგულაციები მაყურებელთა რაოდენობას არ ეხება, მაგრამ მატჩზე დასწრება შეუძლიათ: ორივე დოზით ვაქცინირებულ პირებს. ამასთან, მე-2 დოზის მიღებიდან 10 დღე უნდა იყოს გასული; ბოლო 72 საათში პისიარ-ტესტით უარყოფითი პასუხის მქონე პირებს; ბოლო 24 საათში სწრაფი ტესტებით უარყოფითი პასუხის მქონე პირებს; ტესტები აუცილებელია 5 წელზე მეტი ასაკის ბავშვებისთვისაც.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# უმუშევარს ლამბორჯინის გამო შიმშილობა კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა



ზიმბაბვეს ქალაქ ბინდურას მკვიდრი კანაღამ სიცოცხლეს გამოესალმა 33– დღიანი შიმშილობის შემდეგ, რომელიც მან იმისთვის მოაწყო, რომ თავისი შეყვარებულისთვის ლამბორჯინი მიეღო.

27 წლის უმუშევარმა მარკ მურაძირამ მას შემდეგ გადაწყვიტა 40 დღე და ღამე ეშიმშილა, როდესაც მისმა შეყვარებულმა უთხრა, რომ ავტომობილ ლამბორჯინიზე ოცნებობდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ღმერთი მის რელიგიურ რწმენას დააფასებდა და ძვირადღირებულ ავტომობილს გამოუგზავნიდა.

ახალგაზრდა მამაკაცი 33 დღის შიმშილობის შემდეგ მისმა მეგობარმა ნახა. მურაძირა შიმშილობისგან სიკვდილის პირას იმყოფებოდა. ის სპეციალურად არიდებდა თავს ადამიანებს, რომ ცდუნებისთვის გაეძლო.

მამაკაცი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მყოფნი იქნა მოთავსებული. ამჟამად მისი მდგომარეობა უმჯობესდება.

# ანტილოპა ბეჰემოთს მტაცებლებისგან თავის დასაღწევად ზურგზე შეახტა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ანტილოპას და გიენისებური ძაღლების დაპირისპირება თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო, რომელიც შემდეგ იუთუბიზე პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორის, 42 წლის გიდის კრის ბეიტსის თქმით, ანტილოპა იმპალა მტაცებლებისგან თავის დაღწევას წყალსატევში ცდილობდა. გიენისებური ძაღლები წყალში შესვლას მართლაც ერიდებოდნენ, თუმცა მათგან საბოლოოდ თავის დაღწევა არ გამოდიოდა. ანტილოპას საითკენაც არ უნდა ეცადა გაცურვა, მტაცებლები იქ, ნაპირთან ხვდებოდნენ.

– წარმოუდგენელი სტრატეგიის თვითმხილველები გავხდით, რომელსაც მტაცებლები იყენებდნენ ანტილოპასთვის არაქათის გამოსაცლელად, რომელმაც თავის გადასარჩენად ბეჰემოთის ზურგზე შეხტომაც კი სცადა, რომელიც წყალსატევის შუაგულში იმყოფებოდა, – ყვება ბეიტსი.

შეწუხებული ბეჰემოთი ნაპირისკენ გაეშურა და მტაცებლები აიძულა გასცლოდნენ, თუმცა ანტილოპას საბოლოოდ ამან ვერ უშველა. ერთ-ერთი გიენისებური ძაღლი მაინც შევარდა წყალში, იმპალას პირი სტაცა და ის ხმელეთზე აათრია. შემდეგ კი მას მთელი ხროვა დაესია.





# დათვების სტუმრობამ და აუზში ჭყუმპალაობამ წვეულება ჩაშალა

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ გატლინბერგში შვიდი დათვი მივიდა აუზთან გასამართ წვეულებაზე და ის ჩაშალეს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

მომხდარის თვითმხილველმა მიშელ ჯონსონმა იუთუბიზე გამოქვეყნა ვიდეო, რომელზეც ჩანს, თუ რა მოხდა, როდესაც ჯეფერსონის ოლქის სკოლის ოფიცერთა რეზერვის მომზადების სამხედრო-პატრიოტული პროგრამის კადეტებმა აუზთან წვეულების მოწყობა გადაწყვიტეს.

ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ჭყუმპალაობენ აუზში დათვები, ზოგიერთი კი მას გარშემო უვლის, ამ დროს კი მოსწავლეები მათ უსაფრთხო მანძილზე გაეცალნენ.

ჯონსონმა განმარტა, რომ სულ მათ დაგეგმილ წვეულებაზე შვიდი დათვი გამოჩნდა.

– შავი დათვები გრეიტ-სმოკი-მაუნტინის მთებში ლამაზად გამოიყურებიან, მაგრამ გთხოვთ, პატივისცემით მოეპყარით მათ, დაიცავით გარკვეული მანძილი და ნუ მისცემთ საჭმელს, – დაწერა ვიდეოს ავტორმა.

ჯონსონმა ასევე აღნიშნა, რომ აუზის თანამშრომლების თქმით, ისინი ხშირად ხედავენ დათვებს შემოგარენში, მაგრამ ამდენი ცხოველი ერთად აუზთან პირველად ნახეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველი პიანისტი მამაკაცი; 2. ძვირფასი სარეწაო თევზი; 3. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 4. ესპანური სპორტული გაზეთი; 5. ლომების ჯოგი; 11. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 16. ცნობების გავრცელება რაიმეს შესახებ მისი პოპულარიზაციის მიზნით; 17. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 21. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

**თარაზულად:** 6. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 7. ელექტრონული ძრავის უძრავი ნაწილი; 8. მავნებელი მწერი; 9. ქართველ ქალთა ცეკვა; 10. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. ჩეხი მხედართმთავარი, ეროვნული გმირი; 15. გერმანული ლუდი; 18. მუნჯი კინოს კომიკოსი; 20. უბანი თბილისში; 21. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 23. ქართული ხალხური ზღაპარი; 24. სამურაების მეთაური.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მითი; 2. ტოსკა; 3. ილორი; 4. შევრო; 5. რეკეტი; 6. ზედაზენი; 8. აბასთუმანი; 10. ვინჩესტერი; 11. სამშვილდე; 14. აფექტი; 15. სალათი; 16. რემბო.

**თარაზულად:** 1. მასტიფი; 4. შარტრეზი; 7. თრუსო; 9. კიევო; 12. ჭილაძე; 13. ქანდა; 14. არაგვი; 17. ემისია; 18. კლეპტომანია; 19. ვიმპელი; 20. დალალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰიპოლოგია; 2. ქორწილი; 3. გინესი; 4. კრიჟი; 5. ალიევი; 11. ხუცესი; 12. კანაპე; 14. მწდე; 16. ორაგული; 17. თარხანი; 19. ლექსიკა; 21. თქორი; 22. ტოკაი.

**თარაზულად:** 6. სილიკოზი; 7. გურიელი; 8. ჟოკეი; 9. პლანკი; 10. სესხი; 13. რიტმი; 15. კონტეინერი; 18. ვიმპელი; 20. არვე; 21. თუნუქი; 23. დისლოკაცია; 24. ნადური.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba



2 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 3.2688

ევრო — 3.9843

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6329

100 რუსული რუბლი — 4.4516

**ამინდის პროგნოზი 2 ივნისისათვის**




## მარსელოს მადრიდიდან წასვლა არ სურს



მადრიდის რეალის ბრაზილიელმა მცველმა მარსელომ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს რეალში დარჩენა, თუმცა, ზუსტად რა მოხდება, ჯერ არავინ იცის და მადრიდულ გუნდს მასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია:

– მინდა, რომ რეალში დავრჩე, მაგრამ ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული, თუმცა, იმედი მაქვს, რეალი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

## კარლო ანჩელოტის რეალში დაბრუნება თითქმის გადაწყვეტილია



მადრიდის რეალის მთავარი მწვრთნელი, დიდი ალბათობით, კარლო ანჩელოტი გახდება, რომელიც ამ გუნდიდან 2014 წელს წავიდა და მანამდე გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება შეძლო. ანჩელოტიმ უკვე კომენტარიც გააკეთა და თქვა, რომ მოხარული იქნება რეალში დაბრუნებით, თუ ამის საშუალებას მისცემენ.

ზიდანის წასვლის შემდეგ რეალი უკვე კვირაზე მეტია, რაც მწვრთნელის გარეშეა. ანჩელოტიმდე ანტონიო კონტეს კანდიდატურა განიხილებოდა.

## ოქრიაშვილით პანათინაიკოსი დაინტერესდა



თორნიკე ოქრიაშვილს ანართოსისთან კონტრაქტი ამოეწურა და მას ახალ გუნდში გადასვლა სურს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოქრიაშვილის შეძენით ბერძნული პანათინაიკოსია დაინტერესებული და შესაძლოა, თორნიკე მალე ამ გუნდში აღმოჩნდეს, თუ მხარეები მოლაპარაკებას შეძლებენ.

პანათინაიკოსში ტრანსფერი თუ არ გამოვა, ოქრიაშვილს კიდევ რამდენიმე ვარიანტი აქვს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## თაგვებმა ხანძარი გააჩინეს და სახლი დაწვეს

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატი მღრღნელების შემოსევას განიცდის, თაგვებმა ხანძარი გააჩინეს და საცხოვრებელი სახლი დაწვეს.

ხანძარი იმ დროს დაიწყო, როდესაც სახლის პატრონი, მედდა რებეკა უორდი სახლში არ იმყოფებოდა. პოლიციის ვერსიით, აალების მიზეზი გახდა მოკლე ჩართვა, რომელიც თავის მხრივ თაგვების მიერ ელექტროგაყვანილობის დაზიანების გამო მოხდა. უორდის სამმა შვილმა, რომლებიც იმ დროს სახლში იმყოფებოდნენ, ქუჩაში გამოსვლა მოასწრეს, ხოლო მეზობელმა მათი ძაღლის მოპსი ლითლ-მისის და კატის ლექსის გადარჩენა მოახერხა. ხოლო თავად სახლი და მისი მფლობელის მთელი ქონება ერთიანად განადგურდა.

– იმ დროისთვის, როდესაც სახლში მივედი, ის მთლიანად ცეცხლის ალში იყო გახვეული, – იხსენებს უორდი.

პოლიციის ქალმა თანამშრომელმა, რომელიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, განაცხადა, რომ ხედავდა თაგვებს, რომლებიც ხანძრისგან თავის გადასარჩენად სახლის სახურავიდან ხტებოდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

შვილიშვილი ბებიას ეკითხება:

– ბებო, როგორ ცხოვრობდით სმარტფონის გამოგონებამდე?

– სრულიად ბედნიერად.

•••

ექიმი მოხუც ქალს ეკითხება:

– გახველებთ?

– ჰო, მახველებს.

– მშრალი ხველა გაქვთ?

– ხველა კი მშრალი მაქვს, სამაგიეროდ, საცვალი მაქვს სველი!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– იცი, რატომ არ კივის ვეგეტარიანელი ქალი ორგაზმის დროს?

– რატომ?

– იმიტომ, რომ ვერ დაუჯერებია, ხორცის ნაჭერს, ასეთი სიამოვნების მინიჭება რომ შეუძლია.

•••

პატარა გოგო დედას ეკითხება:

– დედიკო, რითი განსხვავდება ფერია ალქაჯისგან?

– მხოლოდ განწყობით შვილო, განწყობით!

•••

ცოლი ქმარს საყვედურით ეუბნება:

– ცოტა ლიფი მაქვს!

– რას ამბობ, ძუძუები ხომ თავზე საყრელად გაქვს...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ასე ძალიან რამ ჩაგაფიქრა?

– რა და ცოლმა ახალი დიდი ტაფის ყიდვა მომთხოვა...

– მერე?

– მერე ის, რომ ახლა ვფიქრობ, უფრო მეტის ჭამა მომიწევს, თუ უფრო წყნარად ჯდომა?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## პოლ მაკარტნიმ კაფე „მზიურს“ 5 წლის იუბილე მიულოცა











მსოფლიო ვარსკვლავმა, ჯგუფ „ბითლზების“ წევრმა პოლ მაკარტნიმ კაფე „მზიურს“ 5 წლის იუბილე საჯაროდ მიულოცა და სოციალურ ქსელში ფოტოები გამოაქვეყნა:

– გულითადად ვულოცავ მზიურის კაფეს იუბილეს და წარმატებულ 5 წელს. გმადლობთ „უხორცო ორშაბათის“ პროექტის მხარდაჭერისთვის! მრავალი წარმატებული 5 წელი!

**ანა გოგუაძე, კაფე „მზიურის“ ხელმძღვანელი:**

– საქართველოს მთავრობა, პოლ მაკარტნი წერს მზიურზე! მზიურზე წერს, ხალხო, გძინავთ?! ამ ქვეყნის განვითარება სადღაც გულის სიღრმეში მართლა თუ გინდათ, ჩამოვიყვანოთ ეს ადამიანი. შეხედეთ ამას, ხომ არ ვიგონებ, არა?!

კახა კალაძე – ჩამოვიყვანოთ, რა, თუნდაც თბილისობაზე. ამდენი წელია მჯეროდა, რომ გაიგებდა მზიურზე და გაიგო!

## წარადგინოს საქართველო ნუცა ბუზალაძემ ევროვიზიაზე!



ამ მოთხოვნით ინტერნეტში ათასობით მსმენელი გამოდის და მომავალი წლის ევროვიზიაზე საქართველოდან ნუცა ბუზალაძის გაგზავნას ითხოვს:

– ძალიან მსიამოვნებს, რომ ასეთი გამოხმაურება აქვს მოთხოვნას ჩემი წასვლის შესახებ ევროვიზიაზე. ხალხის მხარდაჭერას მე ყოველთვის ვგრძნობ და დიდი მადლობა თქვენ! აქაც და ინსტაგრამზეც, მართლა ყველა ქართველ ადამიანს, აქ მცხოვრებს თუ ემიგრანტს, ყველას ერთი სურვილი აქვს, მეც დიდი სიამოვნებით მოვუტანდი ჩვენს ქვეყანას წარმატებას, მაგრამ, ვნახოთ, როგორი შესარჩევი ტური იქნება. იდეალურ შემთხვევაში, მე წარვადგენ საქართველოს, თუ მომცემენ იმის საშუალებას, რომ რამდენიმე სიმღერა ჩავწერო და ხალხმა ამოირჩიოს, თუ რომელი სიმღერა ჯობია, რომ წარვადგინო, – განაცხადა ნუცა ბუზალაძემ.

## გოჩა კაპანაძე დააჯილდოვეს



ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძე გიზო ჟორდანიას სახელობის პრემიით დააჯილდოვეს.

რეჟისორმა ეს ჯილდო თეატრალური საზოგადოებისგან ბოლო წლებში შექმნილი სპექტაკლებისთვის მიიღო.

გოჩა კაპანაძე ამ ფაქტმა ორმაგად გაახარა, რადგან გიზო ჟორდანია მისი პედაგოგი იყო და საყვარელი პედაგოგის სახელობის პრემიის მიღება მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

## უხუცესთა ანსამბლ „ფესვების“ სოლისტი ოთარ ჭაღალიძე გარდაიცვალა

კულტურისა და ხელოვნების ღვაწლმოსილი მუშაკი, უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ სოლისტი ოთარ ჭაღალიძე 70 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ხელოვანი სოფელ ჭვანაში, კულტურული ტრადიციების მატარებელ ოჯახში დაიბადა. 1972 წლიდან აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში. 2008 წლიდან დღემდე იყო შუახევის კულტურის ცენტრის უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ სოლისტი. მან აღადგინა და ახალ თაობებს შემოუნახა წინაპრების მიერ დანატოვარი აჭარული ფოლკლორის შედევრები და დღემდე შემართებით უზიარებდა მის მდიდარ გამოცდილებას ანსამბლის წევრებსა და მომავალ თაობას.

გიორგი უშიკიშვილი, მომღერალი:

– კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ქართველი გარდაიცვალა, ბატონი ოთარ ჭაღალიძე. შუახევის მკვიდრი, დაბადებული სოფელ ჭვანაში, სოფელში, რომელიც ოდითგანვე ხალხური შემოქმედების საბადოა. ის სიცოცხლის ბოლო წუთამდე ანსამბლ „ფესვებში“ მოღვაწეობდა და ემსახურებოდა ქართულ ხალხურ შემოქმედებას. დიდი მადლობა ბატონ ოთარს. ქედს ვიხრი მის წინაშე.

## ასტროპროგნოზი



2 ივნისისათვის

**ვერძი** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. დაგეგმილი დასვენების გადადება მოგიწევთ. **კურო** – მეტისმეტი გულახდილობა საქმეს გააფუჭებს. ინტერესი გიღვივდებათ მისტიკისა და ფილოსოფიისადმი. **ტყუპები** – თქვენი ექსცენტრულობა, საღი აზროვნება გარშემომყოფებს გააოცებს. უსაფუძვლო თავდაჯერებულობა ჩიხში შეგიყვანთ. **კირჩხიბი** – საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ, თორემ ნავაჭრით ძალზე უკმაყოფილო დარჩებით. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ლომი** – ემოციებს ნუ აჰყვებით. მოითმინეთ და მიუტევეთ. დღეს, შესაძლოა, სხვისი შეცდომების გამოსწორება მოგიხდეთ. **ქალწული** – ჰარმონიული, მშვიდი დღეა. თავს ნუ გადაიღლით. დაისვენეთ ერთგული მეგობრების გარემოცვაში. **სასწორი** – მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. იკითხეთ სასულიერო ლიტერატურა. **ღრიანკალი** – თუ გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ, გულის კარნახს დაეყრდენით. სხვის რჩევებს ნუ გაითვალისწინებთ. **მშვილდოსანი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, თუმცა ვარსკვლავები კომპრომისზე წასვლას მაინც გირჩევენ. **თხის რქა** – წარმატების შანსი იზრდება. წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა შეცდომის დაშვებას თავიდან აგარიდებთ. **მერწყული** – ფინანსები გეზრდებათ. შემოსავლის ახალ წყაროს მიაგნებთ. გელით რომანტიკული ვახშამი. **თევზები** – აქტიური და დაძაბული დღეა. ნებისმიერი საქმე ფანტაზიასა და შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ქართულ გალობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ქართულ ტრადიციულ საეკლესიო მუსიკას – ქართულ გალობას – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

**ინფორმაცია ფოლკლორის ცენტრმა გაავრცელა:**

– ძეგლისთვის სტატუსის მინიჭების ინიციატორი და წარმდგენია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

ქართული გალობა, მრავალხმიან მუსიკალურ ფოლკლორთან ერთად, ქართველთა მიერ აღიარებულია, როგორც ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლო; იგი უნიკალური ტრადიციაა, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული ეროვნული მრავალხმიანი აზროვნებისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ესთეტიკური პრინციპები. ქართული გალობა, ერთი მხრივ, ეროვნული, საქართველოში წარმოშობილი და განვითა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ბრიტანული კექსი; 2. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 3. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 4. ცხენის ერთგვარი სვლა; 5. მდინარე სვანეთში; 6. ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 8. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიის ნაწილი; 10. ესპანელი მწერალი; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 14. დიდი, კაშკაშა მეტეორი; 15. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი.

**თარაზულად:** 1. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. ძველებური ქართული ცხენოსნური შეჯიბრება; 13. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 17. კომპანია „სონის“ დამფუძნებელი; 18. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 19. მუნჯი კინოს დიდი კომიკოსი; 20. ევროსაბჭოს პრეზიდენტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*